

ალექსანდრი  
ახაუნელი

# იპორია

(აუტომატურიზაცია)

თბილისი  
2018

հյօւսվածին:

Հայաստան



## ნიგნი აენყო ღა ღაკაბაღონღა



<http://bedoidze.site.ge>

<http://bedoidze.site11.com>

©ალექსანდრე ახატნელი, თბილისი, 2018 წ.

## რედაქტორისტან

იბერიის ისტორიის საკითხები საუკუნეთა მანძილზე აფორიაჟებდა დაინტერესებულ ადამიანთა გონებას.

კავკასიის იბერია და პირინეის ნახევარკუნძულის იბერია. რა შეიძლება ჰქონოდათ საერთო? შემთხვევითობაა თუ კანონზომიერება?

ინტერესის საგანი კავკასიის იბერიაა. მისი სქემატური განხილვაც კი დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული.

იბერია, იბერები, კავკასიურ-იბერიული მოდგმა, განვითარების გზები, ამოუწურავი თემაა. ცხადია, ავტორის მიზანი მოკრძალებულია. იგი მხოლოდ ერთ ასპექტს, სახელწოდებათა ცვლილებებს მიმოიხილავს. არც ეს ამოცანაა ადვილად ამოსახსნელი.


რამდენად შეძლო ავტორმა დასახული მიზნის აღსრულება, მიუკერძოებელი, მკითხველის განსასჯელია. ავტორი მიესალმებოდა ამ და სხვა ნაშრომებზე გამოიქმულ შენიშვნებს. განსაკუთრებით ისეთ პრობლემატურ საკითხებზე, როგორიცაა მისი „აფხაზები“, „დვალები“.

წერილობითი შენიშვნები მიიღება რედაქტორის მისამართზე.

ქობა ბედოიძე

The Diadokhoi c. 283 BC

-93





## ცვალებადობის პანონი

სამყაროში ყველაფერი ცვალებადია. უცვლელი მხოლოდ ცვალებადობაა. ცვალებადობის კანონი ვრცელდება ყველაფერ არსებულზე.

ზოგი საგნის თუ მოვლენის ცვლილებებს აღვილად ამჩნევენ, ზოგისას ძნელად ან ვერა. ამიტომ მიაჩნიათ ბევრი რამ მუდმივად არსებულად ან უცვლელად.

ცვალებადობის კანონს ეთნოსიც ემორჩილება. იცვლება მისი შემადგენლობა, იერი, არეალი, ბუნება და სახელიც.

ამ შემთხვევაში, ეთნოსის სახელწოდებაა ინტერესის საგანი.

ყველაზე ახალი, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუაზრებელი ცვლილება, ჩვენს სამეზობლოში მოხდა. იგი ოს ეთნოსს ეხება.

ოსებმა გადაწყვიტეს, XXI საუკუნეს ახალი სახელწოდებით შეხვედროდნენ. ეს მათი უფლებაა, მაგრამ სასურველია, გაუგებობის გამომწვევი არ იყოს.

ოსებმა მოინდომეს, სხვა ეთნოსებს, უფრო ჟღერადი და, მათი აზრით, დასაფასებელი სახელწოდებით გაცნობოდნენ. აიღეს და ალანობა დაიბრალეს. ახლა ისინი ოს-ალანებია თუ ას-ალანები.

ამ იდეამდე ოსები ადვილად არ მისულან. ადრე ისურვეს მასაგეტობა, სკვითობა, არიელობა. ერთი პერიოდი ალანების ქვეშევრდომებიც იყვნენ, მაგრამ არა ალანები (ალანობას უფრო ყარაჩაი-ბალფარები იჩემდებან). შეიძლება, მათ ამის მეტი საფუძველიც აქვთ).

მოკლედ, მთავარია, რომ დღეს ოსები ალანებად იწოდებიან. დიახ, აღარ ეწოდებათ აორსები, ოვსები, დიგორელები, ირონელები — უბრალოდ, ოსები.

ქართველების სამეზობლოში ცოტა უფრო ადრე იცვალეს



თვითსახელი აზერბაიჯანელებმა. არ გამოირიცხება ამგვარი რამ მომავალშიც.


დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე სულ თავიდან თუბალური წარმომავლობის ტომები სახლობდნენ. მოვაკანელებისა და ბარდოსელების სახელით იყვნენ ისინი ცნობილნი. დროთა ვითარებაში ალბანელები ეწოდათ.

ჭეშმარიტად სტრატეგიული ადგილი ეკავათ უპევ ალბანელებს. ამიტომ იყო მათი გასარსელების, გაარაბების, გამონდოლების და ბოლოს გათურქების მცდელობები. თურქებმა იმძლავრეს.

ტერიტორიას აზერბაიჯანი ეწოდებოდა, რაც ცეცხლოვან მიწას ნიშნავს. იქ თხუთმეტი სახანო იყო შექმნილი. როდესაც რუსეთის იმპერიამ დაიყრო, სახანოები გაუქმდა. ბოლოს დაფუძნდა ერთიანი აზერბაიჯანის რესპუბლიკა თურქული მოსახლეობით. 1926 წ. მოსახლეობის აღწერის დროს ისინი თავს თურქებს უწოდებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის წინ თურქეთი გერმანიის მოკავშირე იყო და არც მალავდა განზრახვას, შეერთებინა აზერბაიჯანის თურქული მოსახლეობა. ამან აიძულა რუსეთი, 1935 წ. გამოეცა დეკრეტი მ. კალინინის ხელმოწერით. დეკრეტის ძალით, კავკასიონის სამხრეთში მაცხოვრებელი მუსულმანი თურქები (და არა მხოლოდ ისინი), აზერბაიჯანელად ჩაეწერათ. თურქები, სპარსელები, თათრები, ნაწილობრივ ლეკები, ჰერები, ბორჩალოელები უცებ აზერბაიჯანელები გახდნენ. მათ შორის იყო ეთნიკური, რელიგიურული სხვაობა, მაგრამ ყველა ერთად უკვე აზერბაიჯანელი ხდებოდა. სხვებთან ერთად, მარნეულის რაიონის, ბორჩალუს ტომის თვითმყობადობაც ოფიციალურად წაშალეს.

თავად ქართველებსაც არ უცხოვრიათ ერთი სახელწოდების ქვეშ. ისტორია მათ იცნობდა სხვადასხვა სახელით, იმის მიხედვით, როგორ მიიჩნევდა თავად ეთნოსი, მისი შემადგენელი დაწინაურებული ტომი თუ როგორ უწოდებდნენ მათ სხვა ეთნოსები.





## თუბალ-ობიდან იბერ-ობამდე

„ბიბლიაშია“ გაღმოცემული უძველესი წარმოდგენა ადამიანების და მათი ერთობის თავდაპირველი ფორმების, მათ შორის ჩვენი წინაპრების შესახებ.

უძველეს წინაპრებს თუბალ-კაენად მოიხსენიებენ. ნიშნავს მეურნე, მჭედელ, ხელოსან თუბალს. თუბალები უძველესი ტომია. მისი უახლესი ნათესავი და ცხოვრების მოზიარე — მეშეხია (მეშეხთა ტომი). ორივე იაფეტური წარმომავლობისაა.

არავინ უწყის, რამდენი ათასი წლის წინ გაიყო კაცობრიობა იაფეტებად, ქამიტებად და სემიტებად. „ბიბლია“ ადამიანთა სამ დიდ დაჯგუფებად დაყოფას, მსოფლიო წარღვნას გადარჩენილ ნოე-ს სამი ვაჟის სახით წარმოგვიდგენს.

იაფეტებს ხმელთაშუა ზღვის ყოველი მხარე ეკავათ და დღევანდელ ირლანდიას უწევდნენ. ასეთი დიდი ტერიტორიის დაკავება ბევრ ტომს და ტომთა გაერთიანებას შეეძლო. ამ ბევრს, პქონდათ ხანგრძლივი საერთო საწყისი და იძნენდნენ უფრო მეტ განმასხვავებელს.

ამ საერთოს გამოძახილი უნდა იყოს ერთნაირი ტოპონიმები, პიდრონიმები, ბევრი საგნისა და მოვლენის სახელი. მათ შორის, პირინეის ნახევარკუნძულზე და კავკასიაში, თუბალების საცხოვრებელ არეალში, იძერის არსებობა.

ორი ათასი წლის წინ ბრძანა ებრაელმა ისტორიკოსმა თუბალებს, ერთ დროს ტაბალებსაც ეძახდნენ, ახლა კი იბერები ეწოდებათო. ასევე მეშეხებს უწოდებდნენ მუსკებს, მუშქებს, ახლა კაპადოკიელები არიანო.

ჩანს, ცვლილებების აუცილებლობის კანონი ტომებზე და ეთ-ნოსებზეც ვრცელდებოდა.



უძველესი წარსულის ამწერელი ლეონტი მროველი გვამცნობს: ხუთი ათასი წლის წინ თუბალთა ტომებს ჯერ კიდევ ერთიანობა პქონდათ. ერთობის სათავეში თარგამოსის სახლეულობა იდგა. ძველი წელთა აღრიცხვის III ათასწლეულის მეორე ნახევარში ერთობა დაირღვა.

ერთად მათ ეკავათ კასპიის ზღვიდან, ვანისა და ურმიის ტბებიდან დაწყებული, შავ და ხმელთაშუა ზღვებამდე, კავკასიონიდან მოყოლებული ტიგროს-ევფრატის ზემო (მთიანი) ნაწილის ჩათვლით, ტერიტორიები. ყველანი იყვნენ თუბალები და ერქვათ თარგამოსიანები. მათ ასევე ეძახდნენ გეორგიანებს (ძველი მეშეხი, პელაზგებად წოდებული ტომები) და ტაბალებს (სამხრეთელი მტერ-მეზობლები ბაბილონელ-ასურელები).

ერთობის მოშლის და ცალკე სამეფოებად ორგანიზების შემდეგ თუბალ-ტაბალ-იბერ-გეორგიანელებმა (გეორგიანები, მიწის ქალ-ღმერთ გეოს მიხედვით) რვა ახალი სამეფო დააფუძნეს.

იყო ძვ. წ. III ათასწლეული.

უფროსს, ჰაოსს (ჰაიკს სომხურად) მიეკუთვნა თუბალთა სამფლობელოს უდიდესი და უკეთესი ნაწილი. დამსახურებით და სიძლიერით ქართოსს (ქართებს) დარჩათ დღევანდელი ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, სომხეთის, ტაო-კლარჯეთის, აჭარის სამხრეთი შავ ზღვამდე. ვრცელი მიდამო გაიყენს ჰერებმა, მოვაკანელებმა და ბარდოსელებმა. ქართებიდან დასავლეთით (ლიხის მთის იქით), დღევანდელი ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთით მდ. ყუბანამდე, დაიკავეს ეგროსელმა ტომებმა (იმ დროს ეგროსელი ტომების გაყოფა იყო დაწყებული ეგრისელებად და სვან-სანიგებად).

ტომთა ორ გაერთიანებას, ლეკოსელებს (ლეკან-ის მეთაურობით) და კავკასიანებს (კავკასო-სის მეთაურობით) უნდა აეთვისებინათ მთავრებილის ჩრდილოეთი ველები. იმდენი, რამდენსაც შეძლებდნენ, რადგან მდ. ვოლგამდე იქ მუდმივად მაცხოვრებელი არავინ იყო.

ამრიგად, ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში თარგამოსიანთა სახლეულობამ თუბალთა ტომები, მათგან დაკავებული მხარე, რვა ნაწილად გაყო და თითოეულს „მოუზომა“ საკმარისი სივრცე.

რვავე ტომთა გაერთიანება, საკუთარი სახელით იხსენიება მას შემდეგ, თუმცა ყველა თუბალური წამოშობისაა. უფრო მეტი, რეალუ-



რადაც ინარჩუნებდნენ ერთობას. მროველი აღნიშნავს, რომ შემოსეულ მტრებს ისინი საერთო ძალით იგერიებდნენ. ასე იყო ძვ. წ. XXIII საუკუნეში, ასურეთის მრისხანე მეფე სარგონ I წინააღმდეგ ომისას და ასე იყო ძვ. წ. XIII ს. კავკასიონის ჩრდილოეთიომომხდურთა მოგერიების დროსაც.

დროთა ვითარებაში, თუბალური გაერთიანებანი, გაერთიანებათა შიგნით ცალკეული ტომები, განვითარების სხვადასხვა გზას ირჩევდნენ, შორდებოდნენ ერთი-მეორეს და ზოგჯერ მტრობასაც არ ერიდებოდნენ.

ერთმანეთს დაცილებული და ზოგჯერ ურთიერთდაპირისპირებული ტომები, თუ ტომთა გაერთიანებანი, ერთობის აღმნიშვნელ სახელს ხანგრძლივად ინარჩუნებდნენ. ასე იყო საუკუნეთა მანძილზე. ამ ნიადაგზე შეიმუშავეს მეცნიერებმა ეთნოსთა იბერიულ-კავკასიური ერთობის იდეა. მანამდე კი დიდი ცვლილებები განხორციელდა.

ითქვა თუბალების ერთიანი სასიცოცხლო არეალისა და ძირითად გაერთიანებებად დაყოფის შესახებ.

რვა გაერთიანებად (სამეფოდ) დაყოფილმა ტომებმა გრძელი განვითარების გზა განვლეს.

ჰაოსის (ჰაიკის) წილ მხარეში ბევრი მცირე ზომის სამეფო-სამთავრო შეიქმნა და გაქრა. მათ შორის სამხრეთ-დასავლეთში თუბალ-ჰაოსიანთა, მუშქთა და კიმერიელთა შერევის შედეგად ძვ. წ. აღ. VIII ს დაიწყო სომეხი ეთნოსის ფორმირება. მკვლევარებისხვა-დასხვანაირად აფასებენ სომეხთა ამ ძველ წარსულს. ფორმირების დასასრულიც არაა ერთნაირად დათარიღებული. ასახელებენ ძვ. წ. აღ. V-II საუკუნეებს შორის.

არსებითია, რომ თუბალ-ჰაოსიანთა არეალში და მათი აქტიური მონაწილეობით, შეიქმნა ახალი ეთნოსი, დაარსდა ახალი ქვეყანა (სამეფო): მას ქართველები სომხეთს უწოდებენ, დანარჩენი მსოფლიო — არმენიას, თვითონ ჰაიასტანს. იმ პერიოდამდე იმ არეალში ცხოვრობდნენ თუბალები, ტაბალები, ტაბალ-მუშქები, კიმერიელების მიერ ამ ტომების დაპყრობის და მათზე გაბატონების შემდეგ ეწოდათ არმიანები.



როცა თუბალებს იბერები ეწოდათ, ისინი უკვე არმენებად სახელ-დებოდნენ.

იბერებად, ასევე არ იწოდებოდნენ თუბალ-ბარდოსელები და თუბალ-მოვაკანელები. სახელწოდება იბერების დამკვიდრების ეპოქაში ისინი ალბანელებად ფალიბდებიან. მათაც დიდი შინაგანი გარდაქმნები, უცხოელებთან შერევის პროცესები გაიარეს, მაგრამ თუბალობა შეინარჩუნეს. ამიტომ მიიჩნეოდნენ ალბანელები იბერების მონათესავე ეთნოსად.

თუბალური მეობა შეინარჩუნეს დანარჩენმა გაერთიანებებმა.

განსაკუთრებული გზა განვლეს ეგროსელებმა.

კავკასიონის ჩრდილოეთში და სამხრეთში დამკვიდრების დროს ერქვათ თუბალ-ეგროსელები. ბევრი მკვლევარი მიიჩნევს, რომ მათში შერეული იყვნენ მეშეხები (შემდეგში მესხები). ეგროსელები გაიყვნენ ეგრებად და სვანებად. საკუთრივ ეგრისელებს ეწოდათ ჯერ კოლხები, შემდეგ ლაზები. ბოლოს აჭარელი, გურულები, აფხაზები და მეგრულები.

ამასთან, მათ შეინარჩუნეს თავისი თუბალობა და როდესაც სახელი შეიცვალა, გახდნენ იბერები. ისევე, როგორც ქართები, ჰერები, ლეკოსელები და კავკასიონები.

თუბალობისა და იბერობის მიუხედავად, ეს ტომთა გაერთიანებები ცალკე, დამოუკიდებელ ცხოვრებას აგრძელებდნენ.

იყო დიდი გაერთიანების ცდაც ლეგენდარული აიეტის დროს, მაგრამ უშედეგო.

მხოლოდ ძეველი წ. ა. IV საუკუნეში არიან-ქართლიდან მოსულმა აზონ იარედოსის ძემ შეძლო იბერიული ტომების დიდი ნაწილის გაერთიანება, სხვათა დაპყრობის გზით. შემდეგ ცნობილმა ფარნავაზმა შექმნა იბერიის მტკიცე სამეფო.

მის სამეფოში გაერთიანდნენ კავკასიანი-იბერები, ქართი-იბერები, ჰერი-იბერები და ეგრის-სვანი იბერები.

ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში მომხდარირდევების, ცალკე სამეფოებად და ეთნოსებად ჩამოყალიბების შემდეგ, ეს იყო ყოფილ თუბალ ტომთა პირველი მსხვილი გაერთიანება. მან იარსება რვაასი წლის განმავლობაში და სელი შეუწყო იბერიულ-კავკასიური ერთობის განმტკიცებას.



## 08 მერია

ითქვა, რომ ორი იბერია იცის ისტორიაში. ერთი ევროპის უკიდურეს დასავლეთში, პირინეის ნახევარკუნძულზე და მეორე — კავკასიონის მიდამოებში.

მეორეა კურადღების საგანი.

როდესაც „კავკასიის იბერია“ — სახელწოდება გზას იკვლევდა და მკვიდრდებოდა, ძევლი, თუბალები, უკვე გაყოფილი, გაუცხოების გზას ადგნენ. ისტორიის მამად მიჩნეული ჰეროლოტე, მათ ძირითად ბირთვს სასპერებს უწოდებდა. ამბობდა: მეწამული ზღვიდან ჩრდილოეთით სახლობენ სპარსელები, მათი ჩრდილოეთით — მიდიელები, შემდეგ სასპერები და ბოლოს სპერის (პონტოს, შავ) ზღვამდე — კოლხები.

ნიშანდობლივია, რომ თუბალების უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთით მცხოვრები სუხმეს (აკად. ბ. პიოტროვსკის განსაზღვრით) ტომის მუშქებთან (მეშქებთან) ძვ. წ. ა. XII ს. შერევის და კიმერიელებთან ძვ. წ. ა. VIII ს. შერევის შედეგად, უკვე სომეხი (არმეანი) ეთნოსი ყალიბდებოდა. შეიძლება, ამიტომაც არ დაასახელა ჰეროლოტემ იმ ტომებს შორის, რომელიც მეწამული ზღვიდან — შავ ზღვამდე სახლობდნენ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ მსჯელობაა სასპერებსა და კოლხებზე და არა — თუბალებზე, ტაბალებზე ან იბერებზე ზოგადად. შეიძლება, იმიტომ, რომ ერთნიც და მეორენიც მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდნენ თუბალების (უკვე იბერებად წოდებული) ტომთა დიდი გაერთიანებისა, ვინ იცის?..

კოლხები, გასაგებია, ისინი ეგროსულ ტომთა გაერთიანების ბირთვს წარმოადგენდნენ.



სასპერები?..

ყურადღებამისაქცევია, სად ათავსებს სასპერებს პეროდოტე: მიღიელებსა და კოლხებს შორის.

გასახსენებელია ის ისტორიული რეალობა, რომ მიღიელების დასავლეთით და კოლხების აღმოსავლეთით იყო განფენილი ურარტუს იმპერია. მას დიდი ტერიტორიები ეკავა: აღმოსავლეთით მიღიას ემეზობლებოდა, სამხრეთით — ასურეთის იმპერიას, დასავლეთით — მუშქების სამეფო ფრიგიას, ჩრდილოეთით — ყოფილ ქართა სამეფოს, რომელიც ქალაქ-სახელმწიფოებად იყო დაყოფილი, ჩრდილო-აღმოსავლეთით — კასპიის ზღვასა და იქ მცხოვრებ ბარდოს-მოვაკანელ ტომებს.

სასპერების არეალი ემთხვევა ყოფილი ურარტუს სივრცეს. ამ სივრცეს სპარსელები არინას (ელამურად არმენუას) უწოდებდნენ. ჯერ კიდევ ყურარტუს მეფე მენუას დროს მის შემადგენლობაში შედიოდა ქართლს ჩამოჭრილი სამხრეთი ნაწილიც.

VI ს. ბოლოს, როდესაც სპარსეთის სამეფოს შემქმნელმა კიროსმა, ურარტუს არეალი დაიპყრო, მას არმიანა უწოდა.

ეს ურარტუ-არმიანა (არმენუა — ელამურად, არმენია — ბერძნულად) სპარსეთის მეფე დარიოსის დროს სატრაპოებს (სამართავ ოლქებს) შორის სამ ნაწილად გაიყო: სამხრეთ ნაწილში იმ დროს უკვე კიმერიელების მიერ დაპყრობილი თუბალ-მუშქები სახლობდნენ.

აგრესიული ბუნების მქონე მძლავრი კიმერიელები უცნაური ჯიშისანი იყვნენ: გოლიათური აღნაგობის წელს ზევით და მოკლე ქვედა კიდურებით (სამი წლიდან მოყოლებული მათი ცხოვრება, ძირითადად, ცხენზე ამხელრებული მიმდინარეობდა. შეიძლება, თაობათა მანძილზე ამან ქვედა კიდურების განუვითარებლობა გამოიწვია). ამავდროულად, იყვნენ კარგი მებრძოლები და ბევრსაც მიაღწიეს. ცნობილი მკვლევარი ანუჩინი, ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, მიუთითებდა მათ ბევრ თავისებურებაზე, რაც დღეს ყველაზე ნათლად სომხების გარკვეულ ნაწილში ვლინდება.

არმიანას სამხრეთი ნაწილი (სომხეთი) არმენია, ჰაოსის მხარე სპარსელი მოხელის მიერ იმართებოდა.



არმიანას შუა ნაწილი მთლიანად ურარტუს მოიცავდა და ცალკე სატრაპოს წარმოადგენდა.

არმიანას მესამე, ჩრდილოეთი ნაწილი მოიცავდა ქართლისაგან ჩამოცილებულ მხარეს. იგი მტკვარ-არაქსის სათავეებში მდებარეობდა. სპარსეთმა მისი დაქვემდებარება ვერ მოახერხა. ურარტუს მეფეებმა დამკყრობ მიდიელ-სპარსელებს თავი გაარიდეს და არიანა (ურარტუს) ამ ნაწილში დაფუძნდნენ. აქედან განაგრძნობდნენ ისინი ბრძოლას დაკარგული იმპერიის აღდგენისათვის. ამ ნაწილს ქართული ისტორიოგრაფია არიან-ქართს უწოდებს.

ამრიგად, როცა ჰეროდოტე მიუთითებს, რომ მიდიელების შემდეგ (დასავლეთით), სასპერები სახლობენო, მხედველობაში ჰყავს ყოფილი ურარტუს იმპერიის ის მაცხოვრებლები, რომლებიც კოლხეთს უწევდნენ. ესენი არიან ადრე თუბალებად, შემდეგ ურარტუსელებად და ქართებად სახელდებული ტომები.

კიდევ ერთი მახასიათებელი. დღემდე ნათელი არა აქვს მოფენილი ცნობილი ხალიბებისა და ხალდების, ხალიბებისა და ურარტუსელების ურთიერთმიმართების საკითხს. ასევე აუცილებელია ბაბილონის მხარის ქალდეეველობის, ურარტურ ხალდეს, როგორც მთავარი ღმერთის და ურარტუს-სასპეროთა ქალდეეველობის ურთიერთმიმართების გარკვევა.

ურარტუს იმპერიაში მთავარი ღმერთი ხალდე იყო. მისი მიწი-ერი რეზიდენცია მდებარეობდა მუცაცირში (მუსასირში), საკულტო ქალაქი კი ვანისა და ურმიას ტბებს შორის იყო განფენილი. ასევე საინტერესოა, რომ ამ ტბებს შორის ჰერების ტომთა გაერთიანების საცხოვრისი იყო მაშინაც კი, როცა ჰეროსმა თავისი სამეფო დაარსა ქართებსა და მოვაკანელებს შორის.

ურარტუს მეფე მენუას მიერ ქართის სამხრეთი ნაწილის მიტა-ცების შემდეგ ქალდეეველობა, როგორც რელიგია, ძლიერდება არი-ან-ქართლის, კულხას სამხრეთის მოსახლეობაში. ხალდეა (ქალდეა) სპეციალურ კვლევას საჭიროებს.

ამ შემთხვევაში არსებითია, რომ სასპერების ქვეშ იგულისხმებიან არა მთლიანად თუბალები, არამედ მისი ნაწილი. როდესაც ჰერო-დოტე სასპერებს ახსენებს, მას შედგელობაში თუბალთა შხოლოდ ნაწილი ჰყავს. შეიძლება ამიტომაც, როდესაც თუბალებს ძველი



ებრაელი ისტორიკოსი იოსებ ფლავიოსი (ფლავიუსი) ბრძანებს, რომ თუბალებ-ტაბალებს ახლა იბერები ეწოდებათო. სასპერებს იგი არ ასახელებს.

აქედან გამომდინარე, სასპერები უკვე იბერების ერთ ნაწილად წარმოგვიდგებიან. თუ სასპერები კოლხებამდე ვრცელდებოდნენ, იბერები მათთან ერთად კოლხებსაც მოიცავდნენ. კოლხები ისეთივე იბერებია, როგორც დვალები, დურძუკები, ქართები და სხვა.

გამომდინარე ყოველივედან, როცა ძვ. წ. აღ. IV ს. შეიქმნა სამეფო და მას იბერია ეწოდა, სულაც არ ნიშნავდა ქართლის სამეფოს. იბერიის სამეფო უფრო ფართო შინაარსის მოვლენა იყო, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო ქართლის სამეფო. ეს არ გამორიცხავს და არ აკნინებს ქართი ტომების როლს სამეფოს შექმნაში.

მოვლენები კი ასე წარიმართა:

ძვ. წ. აღ. IV საუკუნეში სპარსეთის იმპერია ძლიერდება. წინა და მცირე აზიის დახარკვის შემდეგ, იმპერიამ საბერძნეთს შეუტია. საბერძნეთი, ქალაქ-სახელმწიფოებად დაყოფილი და გათიშული, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამასი სპარტელის გმირობამ საფრთხე ვერ მოსპო. ამავე დროს ხალხმრავალი საბერძნეთისურსათის მხრივ მცირე აზიაზე იყო დამოკიდებული. იქ კი სპარსეთი ბატონობდა.

ბერძნებსა და სპარსელებს შორის გადამწყვეტი ბრძოლა გარდაუვალი იყო. იმ პერიოდში, მაკედონიის მეფე ფილიპემ სამხედრო რეფორმები გაატარა, გაძლიერდა და ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოების დაქვემდებარება მოახერხა. ოცდაათიათასიანი ჯარი მცირე აზიაში განალაგა და სპარსეთზე ლაშქრობისთვის ემზადებოდა, როცა დალატით მოკლეს. იყო ძვ. წ. აღ. 336 წელი. გამეფდა მისი 20 წლის ენერგიული და ამბიციური ვაჟი — ალექსანდრე.

ალექსანდრე მაკედონელს არისტოტელე წვრთნიდა. ამით ყველაფერია ნათქვამი.

გამეფდა რა, ალექსანდრემ სპარსეთან ომი წამოიწყო. იგი მოქმედებდა, როგორც სპარსეთის ბატონობისაგან ჩაგრული ეთნოსების განმათავისუფლებელი. ამან ხელი შეუწყო მის სწრაფ წარმატებებს. ძვ. წ. აღ 332 წ. სპარსეთი განადგურდა.



იმავე ხანებში, არიან ქართლში, ურარტუს სამეფო დინასტიის წარმომადგენელი იარედოსი ზეობდა. მოიხსნა რა სპარსეთის საფრთხე, იარედოსის ძე აზონმა ჩრდილოეთს შეუტია. მან იოლად დაიმორჩილა ქალაქ-სახელმწიფოებად დაყოფილი ქართლი, დედაქა-ლაქი მცხეთაში გადაიტანა და დაპყრობებით ძლიერი სამეფო შექმნა.

აზონის სამეფოში უშუალოდ გაერთიანდა მთლიანად ქართლი, ეგრისის დიდი ნაწილი, დვალეთი და დურძუკეთი. აზონმა იღლაშქრა კავკასიონის ჩრდილოეთში და დახარკა ოვსები და პაჭანიკები.


მეფის რისხვას გადაურჩა მცხეთის უფალი მამასახლისის სახლეულის წარმომადგენელი. სამი წლის ფარნავაზი დედამ მთებში (სავარაუდოდ, დურძუკეთში) გადამალა. თუ გათვალისწინებული იქნა ფარნავაზის მიერ გამეფების შემდეგ გატარებული რეფორმების ხასიათი, შეიძლება მტკიცება, რომ მან მთებში მრავალმხრივი ცოდნა შეიძინა.

თუ ისიც გათვალისწინებული იქნა, რომ 26 წლის ასაკში მან გამეფებაც მოასწრო და რეფორმების გატარებაც, რის შემდეგაც კიდევ 58 წ. იმედა, მაშინ შეიძლება თქმა: ფარნავაზი დაბადებულა ძვ. წ. აღ 335 წ. და უცოცხლია 251 წლამდე (ცდომილება 1 წლის ფარგლებში).

ფარნავაზმა შეძლო ქართების, დვალების, დურძუკების ორგანიზება, დაიხმარა ეგრისის მფლობელი ქუჯი, ოვსები და აზონი დაამარცხა. ბრძოლების დროს შეუკავშირდა ანტიოქიის სელევკიდს, მიიღო მისგან მეფედ აღიარება. ბრძოლებით მოიარა აკილისენა-ანძიაძორი, სამხრეთის საზღვარი დადო მდ. არაქსის ზემო წელზე.

ფარნავაზის სამეფოში გაერთიანდნენ სასპერები, ქართები, ეგრები, სვანები, დვალები და დურძუკები. ყოფილი თუბალური წარმომავლობის ტომები, რომელებსაც უკვე იბერები ეწოდებოდათ, ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად შეიკვრნენ. იგი მოიცავდა არა მხოლოდ ქართ, არამედ სხვა თუბალ-იბერიულ ტომებსაც და ბუნებრივია მას ქართს ვერ უწოდებენ. ეს იყო იბერია.

ფარნავაზმა შემოკრებილი ტომები (უფრო ზუსტად ეთნოსები) არა მხოლოდ პოლიტიკურად დააკავშირა, შექმნა ერთიანი სამართლებრივი, კულტურული, რელიგიური და სამეურნეო-ეკონომიკური სივრცე.





ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ არიან-ქართში ცხოვრობდა ურარტუს არისტოკრატია. თავის დროზე აზონმა არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი და უმეტესი დაბალი ფენების წარმომადგენლებისა, მცხეთის მიდამოებში ჩაასახლა. ურარტუელების ჩამოსახლება კიდევ უფრო აფართოებდა სამეფოში გაერთიანებულ ეთნოსთა რიცხვს და იბერიას ურარტუს მემკვიდრედ ხდიდა. ამიტომ იყო აღმართული მთაზე ურარტული ღმერთების გაცისა და გაიმის ძვირფასად მორთული გამოსახულებანი. ფარნავაზმა ჯეროვანი პატივი მიაგო მობრძანებულ ღმერთებს და ერთადერთი, რაც შეცვალა იყო ის, რომ მათ შორის საკუთარი არმაზის გამოსახულება დაადგმევინა.

ფარნავაზმა მოახდინა დამწერლობის რეფორმა. მან ხელახლა გამართა დამწერლობა მუშქ-ქართული და იგი საერთო იბერიულ დამწერლობად აქცია.

იბერიის პოლიტიკურ-სამხედრო და სამეურნეო-ეკონომიკური სიძლიერის წყალობით, სამეფომ იარსება ახალი წელთაღრიცხვის 523 წლამდე.

გვ. წ. აღ 332 წლიდან ახ. წ. აღ. 523 წ (ზოგი ანგარიშით 540 წლამდე) კი დიდი დროა.

ამ გრძელი ისტორიული არსებობის განმავლობაში სამეფომ დიდ სიძლიერესაც მიაღწია და ბევრი ომებიც გადაიტანა. ისე მყარად დამკვიდრდა სახელწოდება იბერი, რომ საუკუნეებმა ბევრი ვერაფერი დააკლეს. ცნობილია, რომ იბერიას უწოდებენ და იბერებად იცნობენ მოსახლეობას ბოლო პერიოდებამდეც კი.



## იბართა სამეფო

იბერიის სამეფოს წარსულს მრავალი მკვლევარი მოუხიბლავს. ისტორია კი მაინც არასრულია. მით უფრო სქემატური და ნაკლოვანია ის, რაც აქ ითქმება.

სამეფოში ცენტრალიზებული მმართველობა დამყარდა. ადრე ქალაქ-სახელმწიფოებად დაყოფილი, მამასახლისებით სათავეში სრულ სამეურნეო-ეკონომიკურ ავტონომიას ინარჩუნებდნენ. მცხეთის უფალი-მამასახლისი სამხედრო-პოლიტიკურ კოორდინაციას ხელმძღვანელობდა. იყო დემოკრატიული ურთიერთობები.

იბერიის სამეფოში მდგომარეობა შეიცვალა. ქვეყანა ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყო, მეფის მოხელე ერი-სთავით სათავეში. სულ რვა საერისთაო შეიქმნა. მათ საქმიანობას სპასპეტი (სამხედრო მინისტრი) უწევდა კოორდინაციას.

საერისთავებს შორისაც იყო დიფერენციაცია. ეგრისის მთავარი ქუჯი, მეფის დის მეუღლე და აზონის დიქტატურის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიური მოთავე, განსაკუთრებული პრივილეგით სარგებლობდა.

სხვა სტატუსი პქონდა დვალეთის მხარეს.

დვალეთი კავკასიონის ჩრდილოეთის ხეობებს მოიცავდა და სტრაბონის თქმით, „სარმატთა დაბლობებს“ ანუ იმ დროისათვის ოვსეთის სამეფო-სამთავროს ემეზობლებოდა. მოიცავდა ჩიმის, ფაიქომის, ვალაგირის, დიგორის, ბასიანის ვრცელ ხეობებს და დაბლობებში გადადიოდა. ტომებად თუ მსხვილ ერთეულებად დაყოფილი დვალები ვრცელ მიდამოს ფლობდნენ და აკონტროლებდნენ. მათი სივრცე დურძუკებიდან (დღევანდელი ინგუშეთიდან) მოყოლებული



სვანეთამდე იყო გადაჭიმული. მათ საბრძანებელში შედიოდა კავკა-სიონის ცენტრალური ნაწილის გადასასვლელები, მათ ევალებოდათ ამ გზა-ბილიკების დაცვა უცხო ელემენტებისგან<sup>1</sup>.

დვალეთის არა მხოლოდ მდებარეობა. თავად დვალები თუბალურ-კავკასიან ტომთა ნაწილს წარმოადგენდნენ. ძვ. წ. აღ. VIII ს. შეიძლება სკვითების მიერ გამოღევნილი, დაბლობი (ვაკე) ადგილებიდან და მთის ხეობებში დაფუძნებულები. შეიძლება ისინი ძვ. წ. აღ. V ს., მიდიელ-სარმატ აორსების მიერ იყვნენ დევნილი და მთის მიუვალ ხეობებს შეფარებულნი. შეიძლება თავიდანვე მთის იბერთა შემაღენლობაში შედიოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ისინი ქართველ ტომებს არ განეკუთვნებოდნენ. მათი ოსობა, საერთოდ, გამოირიცხებოდა.

ისტორიული ცნობების თანახმად, დვალები მთლიანად მოხვდნენ იბერიის სამეფოს შემაღენლობაში და, სავარაუდოდ, მათ ექნებოდათ საერთოსაობებისგან განსხვავებული სტატუსი. ამას შეიძლება კულტურულ-ტერიტორიული ავტონომია ეწოდოს. პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ავტონომია, სავარაუდოდ, მათ არ ჰქონიათ. ასეთი ცნობები უცნობია.

ასევე უცნობია დურძუკების (დღევანდელი ჩეჩენ-ინგუშების, ვაინახების) პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა იბერიის სამეფოში. ის ფაქტი, რომ დვალებთან ერთად დურძუკები თუბალ-იბერიული

1. დღეს ოს და რუს მკვლევარებს სადაოდ არ მიაჩნიათ, რომ ეს მხარე მუდამ ოსებს ეკუთვნოდათ და დვალებიც ოსები იყენენ.

არიან ობიექტური მკვლევარებიც, რომელნიც მიიჩნევენ, რომ დვალეთის ტოპონიმ-პიდრონიმები არაა ოსური. მართლაც, რად უნდა მტკიცება, რომ სამხრეთში არსებული ბასიანი მხარე და ტოპონიმი არ შეიძლება ქართული იყოს, ხოლო ჩრდილოეთში არსებული ბასიანი ოსური. ქართლში არსებული დიდორი ქართული იყოს, ჩრდილოეთში არსებული დიგორი — ოსური, ასევე ცნობილი ჩიმის ხეობა ჩრდილოეთიდან ჩიმის (გიხე-სიმაგრით იყო დაცული). ჩიმი იბერიული სიტყვაა. იგივეა, რაც ქართულად ჩემი და ეგრისულ-მეგრულად — ჩემი. დღევანდელი ოსური ჩიმი, მხოლოდ მოდიფიკაციაა.

ამიტომ ამტკიცებდნენ ვ. აბაევი, ა. ცაგაევა, რომ დღეის ოსეთში ბევრი ტოპონიმ-პიდრონიმი მხოლოდ ქართულით აიხსნება. დამტკიცებულია: არა ქართულით, არამედ იბერიულ-თუბალურით.



ტომების კავკასიონურ შტოს განეკუთვნებოდნენ, ძალზე საინტერესო და ნიშანდობლივია, მაგრამ არასაკმარისი მტკიცებისთვის.

ამ შემთხვევაშიც ლოგიკის ძალითაა მსჯელობა შესაძლებელი.

ქვ. წ. აღ. III ათასწლეულში დურძუკები სხვა კავკასიან ტომებთან ერთად იყავებენ კავკასიონის ჩრდილოეთ მხარეს მდ. თერგის (დერგი, ლომეკი, ჩრდილოეთის არაგვი) მარცხნა ნაპირიდან და მდ. ყუბანის მარჯვენა ნაპირიდან მოყოლებული შავ ზღვამდე. არავინ უწყის, რა ოდენობის სივრცე დაისაკუთრეს მათ. ცნობაა მხოლოდ იმის შესახებ, რომ ქვ. წ. აღ XIII ს. (დაახლოებით) მათ გადაიტანეს მძიმე ბრძოლები და სხვა თუბალური ტომების დახმარებით გამარჯვებას მიაღწიეს. არსებობს ცნობა იმის შესახებაც, რომ მათ ჰქონდათ გამაგრებული ქაღალდები.

რამდენი შეძლეს კავკასიანებმა, რამდენი და რომელი ტომებისგან შედგებოდნენ, უცნობია. არის ვარაუდი იმის შესახებ, რომ თავად ჩეჩენ-ინგუშების უშუალო წინაპრები შეიძლება აზოვის ზღვასთან მდ. დონის მიდამოებს უწევდნენ.

ტომთა ერთობას და ძლიერებას ქვ. წ. აღ. VIII ს. მძლავრი კიმერიელების შემოსევამ დაუსვა წერტილი. კიმერიელებს მოჰყვნენ სკვითები და ჩრდილოეთის ტომები გაიფანტნენ. ცნობილია, რომ მეოტები და სინდები აზოვის ზღვის ჭაობიან ნაპირებში შეიკეტნენ. ისიც უცნობია, ნამდვილად კავკასიანები იყვნენ ისინი თუ არა.

კერკეტები ეგროსელ ტომთა შორის მოხვდნენ. ბევრი იწვალეს მკვლევარებმა მათი ეთნიკური რაობის დასადგენად. განსაკუთრებით სურდათ ისინი ადიღეველთა წინაპრებად მოენათლათ, მაგრამ უშედეგოდ. ცნობილი რუსი ისტორიკოსის ვ. ტატიშჩევის მტკიცებით, ადიღები და აბაზები (აბაზინები) თათრებია. თათრები კი მონღოლებთან ერთად გამოჩნდნენ კავკასიონის ჩრდილოეთში. ცხადია, მათ საერთო არაფერი აქვთ კავკასიონელებთან.

რაც შეეხებათ კერკეტებს. კერკეტი, კირკიტი თუბალურ-იბერიული სიტყვაა. კერკეტი ნიშნავს გაუტეხელს, მტკიცეს, კირკიტი კი — რაღაცის დაუინებულ მცდელობას. დღეს ეს სიტყვა ქართულსა და სომხურშია შემონახული. რა იყო ორი ათასი წლის წინ? ყოველ შემთხვევაში, მათი დაკავშირება, დაახლოებით ორი ათასი წლის შემდეგ გამოჩენილ ეთნოსთან (ადიღებთან), დაუსაბუთებელია.



სხვა კავკასიონურ ტომებთან ერთად, მტრებმა დურძუკებიც დაამარცხეს და აიძულეს, თავი კავკასიონის ხეობებისათვის შეეფარებინათ. ეს მოხდა ლეკოსიანთა „კუთვნილ“ არეალში. მცირე ტერიტორიაზე, ბუნებრივია, მრავალრიცხოვან ტომს დურძუკებისა უჭირდა (დურძუკები შემდეგ დაიყვნენ ჩეჩენებად, ინგუშებად და, როგორც ამტკიცებენ, ქისტებად. არადა, ქართველები ყველას ერთად ქისტებს უწილებდნენ).

აზონ იარებოსის ძემ ეგრისელებთან, ღვალებთან, ოვსებთან ერთად დურძუკებიც დალაშქრა. როდესაც ფარნავაზი მთებში გადამალეს, სავარაუდოდ, იგი დურძუკებში იზრდებოდა. იქ დავაუკაცდა და მეუღლეც დურძუკთა მთავრის ასული მიიყვანა.

როდესაც იბერიის სამეფოს ფორმირება მოხდა, დურძუკეთი მის ფარგლებში მოექცა. ლოგიკურია დასკვნა, რომ აღმზრდელთა, მფარველთა და უახლოეს ნათესავთა მხარეს მეფე ფარნავაზი განსაკუთრებულ სტატუსს მიანიჭებდა. საფიქრალია, რომ დურძუკეთი იქნებოდა მტკიცედ დაკავშირებული უმცროსი პარტნიორი. შეიძლება ითქვას, რომ მათ ფედერაციული ურთიერთობა აკავშირებდა.

სხვა ხასიათის ურთიერთობა დამყარდა ოვსებთან. ისინი ირანულენოვანი ტომებისგან შეღვებობდნენ. როცა კავკასიონის ჩრდილოეთში ე. წ. „სარმატების დაბლობებში“ სახლობდნენ, მათ იქ ჩაისახლეს ქართლიდან წაყვანილი ტყველები და შერეული მოსახლეობა შექმნეს. მათ დაიკავეს რა დურძუკთა (კავკასიანთა) ტერიტორიები, იქ დარჩენილი მოსახლეობაც შეიერთეს და, საბოლოო ანგარიშით, თუბალურ-იბერიულ საფუძველზე ახალი ეთნოსი ჩამოაყალიბეს ირანულენოვანი და კავკასიურ-იბერიული შინაარსით.

ამ ოვსეთთან იბერიის მეფეს ნათესაური, ხანგრძლივი, სტრატეგიული პარტნიორობის ურთიერთობა ჰქონდა.

მეფე ფარნავაზის შემცვლელი მემკვიდრის დროს დადგა ქვეყნის შინაგანი სიმტკიცის გამოცდის აუცილებლობა. საურმაგ ფარნავაზის ძის გამეფებას ერისთავთა განდგომა და მისი გაძევება მოჰყვა.

საუკუნეების მანძილზე ქართლოსიანები ქალაქ-სახელმწიფოებად დაყოფილები ცხოვრობდნენ. თითოეული ერთეულის სათავეში მამასახლისი იდგა. პრაქტიკულად ის პატარა მეფეს წარმოადგენდა.



აზონის მიერ მათი დაპყრობა და ერთგულება ძალას ეფუძნებოდა. ძალა კი აღმართსაც ხნავს, ამბობენ ქართველები. ჯერ აზონის, შემდეგ კი ფარნავაზის დროს, ერთეულთა მეთაურებმა, უკვე ერთისთავების ტიტულით, ითმინეს. საურმაგს აუჯანყდნენ. მეფე იძულებული იყო, თავი დედულეთისათვის შეეფარებინა.

დურძუკებმა საურმაგს უერთგულეს. სავარაუდოდ, ეგრისელებიც შეინარჩუნებდნენ ძველ ურთიერთობას. ოვსეთი იბერიის საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა, მაგრამ საურმაგისადმი მხარდაჭერას ადგილი ექნებოდა. ასეა თუ ისე, მეფემ წესრიგი აღადგინა, მდგომარეობა განიმტკიცა და ერთგულ მოკავშირებსაც ჯეროვანი მიუზღო.

მეფის ყველა ღონისძიება ცნობილი არაა. ამ შემთხვევაში საინტერესოა დურძუკების მისამართით გატარებული მხარდაჭერი, ყოვლისმომცველი პოლიტიკა.

საურმაგმა გაითვალისწინა დურძუკთა შეჭირვებული მდგომარეობა, დააფასა დედულეთის მხარდაჭერის მნიშვნელობა და გადაწყვიტა: დურძუკ წარჩინებულთა ნაწილი თან იახლა და სატახტო ქალაქ მცხეთაში ჩამოასახლა. დანარჩენ მოსახლეთა ნახევარი ჩაასახლა დურძუკეთის ე. ი. მდ. თერგიდან დასავლეთით სვანეთამდე. ჩიმიდან ბასიანამდე კი დიდი სივრცე გამოდის. თუ გავითვალისწინებთ, რომ დვალები ისევე იყვნენ კავკასიანთა ნაწილი, როგორც დურძუკები, პროცესი მშვიდობიანი ხასიათის იქნებოდა. სხვა სიკეთესთან ერთად, ამ გზით ჩრდილოეთის საზღვრებს გაამაგრებდნენ<sup>1</sup>.

1. დღეს მტკიცება იმისა, რომ დვალები თავიდანვე ქართველები იყვნენ, ოსები ან ჩეჩენ-ინგუშები, არასწორია. ამ შერევის და შემდგომი განვითარების დროს უნდა მომხდარიყო დვალური ენის ფორმირება. ერთადერთი მეცნიერი, ვინც დვალურ ენაზე მსჯელობს, ცნობილი ვახუშტი ბატონიშვილია. XVIII ს. პირველ ნახევარში მან იმოგზაურა დვალეთის გავლით. იგი მიუთითებს, რომ დვალური მეტყველება არც ქართულია, არც ოსური, არც ჩერქეზული. ამავე დროს არაფერსამბობს მის დურძუკულ ან ინგუშურ-ჩეჩნურ ხასიათზე. ჩანს, დვალური ცალკე ენად ჩამოყალიბდა დროთა ვითარებაში. რომ არა რესეთის იმპერიის პოლიტიკა, შეიძლება ის XIX ს. არ გაქრებოდა.



იბერიის სამეფო ძლიერებას და ტერიტორიულ მთლიანობას ძვ. წ. აღ. II ს. ინარჩუნებდა. შემდეგ კი მას დიდი საფრთხე სამხრეთიდან დაემუქრა.

ძვ. წ. აღ. 190 წ. სელევკიდების სარდლები არჭაქსი და ზარიადრე, გაძლიერებულ რომაელებს გაურიგდნენ, საკუთარ მბრძანებელს უდალატეს და დალატის საფასურად საკუთარი სამეფოების შექმნის საშუალება მიიღეს. იბერიის სამეფოს მათ ჩამოაჭრეს პარიადრის მთის კალთები, ხორძენება და გოგარენება. ამ გზით ადრე მცირე სიძლიერის არმიანმა (სომებმა, პარიანმა) ეთნოსმა, შეძლო ფეხზე დამდგარიყო და მეზობლების ხარჯზე ტერიტორიები შეეძინა. და მაინც, სომხობა სასურველს ვერ ეწია, სანამ ტიგრან II (ძვ. წ. აღ. 95-55 წწ) არ გამეფდა. მან შეძლო დიდი ტერიტორიების დაპყრობა და იმპერიის შექმნა.

სომხური იმპერიის შექმნაში განსაკუთრებული როლი დიდი კოლხეთის იმპერიის ფუძემდებელმა მითოდატე VI ევპატორმა შეასრულა.

მოკლედ, სიცხადისათვის: 1. საკუთრივ სომხური სამეფოების შექმნა ყოფილ თუბალ-ურარტულ ტერიტორიებზე მოხდა. იქ პაიგის (პარიას) ნათესავი თუბალები სახლობდნენ. ძვ. წ. აღ. XII ს. ისინი მეშეხებმა (მუშქებმა) შეავიწროვეს და მდ. ევფრატის დასავლეთ მხარეში შერეული მოსახლეობა ჩამოყალიბდა. ძვ. წ. აღ. VIII ს. ეს მხარე მომთაბარე კიმერიელებმა დაიპყრეს და საკუთარი ენა გააბატონეს. ამ შერევების შედეგად სომები ეთნოსი შეიქმნა. მოსახლეობა თითქოს გაიყო თუბალ-მუშქებად და კიმერიელებად. აგრესიული ბუნების კიმირიელებმა შეძლეს წარმატებისათვის მიეღწიათ. დიდი დახმარება მათ მითოდატე ევპატორმა გაუწია.

2. თუბალთა სამფლობელოს დასავლეთით მეშეხურ-მუშქ-მესხური ტომები სახლობდნენ. მათ შორის გამოირჩეოდნენ ტიბარენ-ხალიბ-მაკრონები. როდესაც ეს მხარე სპარსეთმა დაიპყრო ( ძვ. წ. აღ. V ს.), მას კაპადოკია ეწოდა. იგი გადაჭიმული იყო სამხრეთიდან შავ ზღვამდე. სპარსეთის მიერ გაყოფილი იქნა ორ ნაწილად: სამხრეთის ნაწილს უწოდეს კაპადოკია, ჩრდილოეთისას — პონტო. ძვ. წ. აღ. 132 წ. პონტოს ნაწილს მოევლინა მითორიდატე VI, რომელსაც დიდი დამსახურების გამო უწოდეს კეთილშობილი (ევპატორი) და აღიარეს



ღმერთ დიონისეედ. მითრიდატემ მოინდომა მეშეხურ-თუბალური ტომების ბაზაზე დიდი სამეფოს შექმნა და მიზანსაც მიაღწია. მან თავის იმპერიაში გააერთიანა მცირე აზიის ჩრდილოეთი ნახევარი, დროებით ეგეოსის ზღვის ბევრი კუნძული, თავად საბერძნეთი, ყირიმის ნახევარკუნძული, შავი ზღვის აღმოსავლეთი მხარე, ტამანის ნახევრკუნძულიდან სამხრეთით, ეგრისი მთლიანად, იბერიას ჩამოაჭრა სამხრეთ-დასავლეთი და საზღვარი დადო ახალციხესთან.

მითრიდატე მეფემ ასევე მოინდომა კაპადოკიის მიერთება. ამ საქმეში მას რომის იმპერია უმდიდა ხელს. მითრიდატემ ქალიშვილი მიათხოვა სომხეთის მეფე ტიგრანს და ხელი შეუწყო მის წარმატებებს. სომხეთმა ურარტუს ნაწილი მისი ხელშეწყობით მიისაკუთრა. სომხეთმა ასევე დალაშქრა სირიის ვრცელი ტერიტორია. მითრიდატეს თანხმობით ორჯერ გაძარცვა კაპადოკია და დაახლოებით 500 ათასი ტიბარენელი ტიგრანოკერტის მხარეში გადაასახლა. დაცლილი ტერიტორია კი მითრიდატემ დაიკავა.

მითრიდატე VI შექმნა დიდი კოლხეთის სამეფო. იგი ტამანის ნახევარკუნძულიდან გადაჭიმული იყო მდ. ჰალისის აუზამდე.

იბერიის სამეფომ დროებით დათმო ეგრისის მხარე. იმ დროს მოხდა ეგრისელთა შორის ლაზური ტომების ფართო დამკვიდრება. ბოლოს კი ეგრისს ლაზების მხარე ეწოდა.

წარმატებები დროებითი აღმოჩნდა. რომის იმპერიამ შეძლო ტიგრანის და მითრიდატეს იმპერიების განადგურება. შედეგად იბერიის სამეფოს დანაკარგის დაბრუნების შანსი მიეცა.

განსაკუთრებულ წარმატებას იბერიის სამეფომ ახ. წ. აღ. I-II ს. ს. მიაღწია. იმ დროს დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა გაძლიერებულ პართიასა (ყოფილ სპარსეთსა) და რომის იმპერიას შორის. იბრძოდნენ გავლენის სფეროების გაფართოებისათვის. ინტერესის ცენტრში სომხეთი (არმენია) მოექცა. ამ სტრატეგიული მხარის დაუფლება ორივეს სურდა. ამავე დროს ორივესთვის მნიშვნელოვანი იყო იბერიის სამეფოს მხარდაჭერა. იბერია აკონტროლებდა კავკასიონის გადმოსასვლელებს და საჭირო მომენტში შეეძლო ჩრდილოეთიდან დამატებითი მებროლი ძალების გადმოშევება ან შეკავება.

იბერიის მეფემ ჯერ კიდევ ცნობილ რომაელ სარდალ პომპეუსთან





გააფორმა მეგობრობის ხელშეკრულება. ამ „მეგობრობით“ ორივე მხარეები ისარგებლა. იბერია გაძლიერდა და სომხეთისათვის ბრძოლაში ჩაერთო. სომხეთს ჯერ კიდევ პქონდა მიტაცებული ტერიტორიები<sup>1</sup>.

I ს. პართიასა (სპარსეთი) და რომის იმპერიას შორის ბრძოლები სომხეთის დაუფლებისათვის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. იმპერატორმა ტიბერიუსმა იბერიის მეფე მითრიდატეს შესთავაზა ომში ჩაბმა და წარმატების შემთხვევაში დაპირდა, სომხეთის სამეფო ტახტზე მისი ვაჟი დაესვა. მითრიდატემ პირობა მიიღო. მისმა მემკვიდრე ფარსმანმა ორჯერ დაამარცხა პართელები. შედეგად, 37 წ. მისი ძმა მითრიდატე მითრიდატეს ქე სომხეთში გამეფდა. შემდეგ იგი ფარსმანის ქე რადამისტმა შეცვალა. წარმატება დროებითი აღმოჩნდა. ბოლოს დიდი აგრესორები შეთანხმდნენ. სომხეთის სამეფო ტახტს პართიელი დაიკავებდა, მაგრამ რომს უნდა დაემტკიცებინა. იბერია ამ საქმეში საჭირო აღარ იყო.

იბერიის სამეფომ დიდ წარმატებებს II ს. ფარსმან II (ქველის) დროს მიაღწია. იბერიის სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი შავ ზღვას მიებჯინა და რომის იმპერიის კოლონიები შუაზე გაყო. ეს წარმატებაც დროებითი აღმოჩნდა.

დიდი ცვლილებები მოხდა იბერიის სამეფოს ჩრდილოეთითაც. კავკასიონის ჩრდილოეთში შეჭრილმა ალანთა ტომებმა ოვსეთის სამეფო დაიკავეს. მათ ასევე სცადეს სამხრეთელი მეზობლის დახარკვა. ორჯერ, II და IV საუკუნეებში დაესხნენ თავს იბერიას და მარცხი იწვნიეს. ჯერ მეფე ამაზასქმა, შემდეგ კი მირიანმა, მომხდურებს იქით შეუტიეს და ერთ დროს უახლოესი მეზობელი და მოკავშირე ოსეთი დააზარალეს.

იბერიის სამეფო შინაგან ცვლილებებსაც განიცლიდა. IV ს.

1. გეოგრაფიის მამამთავრად აღიარებული სტრაბონი აღნიშნავდა: არმენები (სომხები) გამორჩეულად აგრესიული ბუნებისანი არიანო. პატარა მოცულობის ტერიტორიიდან, სადაც მათი ფორმირება მოხდა, დაპყრობათა გზით, დიდი სომხეთი შექმნეს. საინტერესოა. დასუსტებულნი და დამპყრობის გავლენის ქვეშ მყოფნიც ახერხებდნენ სომხები მეზობლების ტერიტორიების მიტაცებას. ამასაც თავისი ნიჭი და მოხერხება უნდა. ჩაუსახლდებოდნენ მეზობლებს კომპაქტურად და იქ ქმნიდნენ სომხურ სამთავროს ან მცირე სამეფოს.



პირველ ნახევარში მომწიფდა და დაიწყო რელიგიური გარდაქმნები. პართია-რომის დაპირისპირების საქმეში რელიგიურმა ფაქტორმა გადამწყვეტი როლი შეიძინა. პართია მაზდეანური ქვეყანა იყო და სადაც ხელი მიუწვდებოდა, ცდილობდა მის გავრცელებას. 305 წლიდან რომის იმპერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგია ხდება. შესაბამისად, იმპერატორები ცდილობდნენ გავლენის სფეროში მოქცეული ეთნოსების გაქრისტიანებას. ამ გზას იბერიის სამეფოც დაადგა მეფე მირიანის დროს<sup>1</sup>.

ახალმა რელიგიამ იბერებს ბევრი სიკეთეც მოუტანა და ტკივილიც. ძველის დაძლევა და ახლის დამკვიდრება რწმენასთან ერთად იძულებაზეც იყო დაფუძნებული, შენებასთან ერთად ნგრევა-მოსპობასაც არ ერიდებოდა. ცნობაა შემორჩენილი ძველი დამწერლობის, კირბების „უწმინდური“ წიგნების განადგურების შესახებ. ამიტომაა ისტორია გადარიბებული.

ქრისტიანობამ გარკვეული როლი შეასრულა იბერიასა და სომხეთს შორის ტერიტორიული დავის დარეგულირებაში. პრობლემის საბოლოოდ მოხსნა კი არავის შეეძლო, მით უფრო ვითარებაში, როცა პართიასა და რომს შორის დავა პირველობისათვის ორივე ქვეყნის (სომხეთისა და იბერიის) ტერიტორიებზე მიმდინარეობდა და ორივეს მონაწილეობით. კველაზე ტრაგიკული იყო ეთნოსთა შინაგანი გაორება და ურთიერთბრძოლა ქვეყნის ხსნის უკეთესი გზების ცოდნის მოტივით. საბოლოოდ ეს ისევ მტრებს უაღვილებდა ქვეყნის დამონებას.

ამ ბრძოლებისას პართიამ და რომმა სომხეთი გაიყვეს და იგივე მოინდომეს იბერიასთან მიმართებაშიც.

ტრაგიკულიც იყო და კომიკურიც სომხეთში გათამაშებული მოვლენები. ჯერ ბიზანტიამ (აღმოსავლეთ რომის იმპერიამ) გააუქმა მის წილ სომხეთში მეფობა, შემდეგ პართიამ იგივე მოიმოქმედა მის „კუთვნილში“. თან ისე ოსტატურად, რომ თავად სომებს ნახარარებს

1. დღეს ქრისტიანობა ბევრ ქვეყანაშია გაბატონებული რელიგია. სიტყვიერი დავაც კი მიმდინარეობდა, რომელი ეთნოსი აღრე ეზიარა ახალ მოძღვრებას და რომელს უფრო სწორად ესმის მისი დოგმები. ზოგჯერ კომიკურ ფორმას ღებულობს სხვაზე უკეთგამოჩენის სურვილი.



(თავადებს) ათხოვნინა მეფობის გაუქმება. აგრესორები ამით არ დაკმაყოფილებულან, სომხეთს ალბანეთი მიაყოლეს და ჯერი იბერიაზე მიდგა.

IV ს. მეორე ნახევარი იბერიისათვის რთული აღმოჩნდა. მირიანის გამეფებით, ფარნავაზიანთა დინასტიამ ძალაუფლება დაკარგა, ბედს კი არ შეწიგებია. დაიწყო ფარული თუ აშკარა ბრძოლა . იქამდე მივიღნენ, რომ სამეფო გაიყვეს. მდ. მტკვრის მარცხენა მხარეს გამეფდებოდა პართიის, ხოლო მარჯვენა მხარეს — ბიზანტიის (ყოფილი რომის იმპერიის) რჩეული. ბევრი იყო ტრაგიკული მეფობისათვის ჭიდილში<sup>1</sup>.

ტრაგიკული მოვლენების განვითარებამ იბერიის სამეფო ტახტზე ფარსმა IV მიიყვანა. V ს. საწყის პერიოდში იგი ბაკურ მეფემ შეცვალა. ისტორიას დიდი ბაკურის სახელით შემორჩა, მაგრამ ბოლომდე გაურკვეველია, რატომ ეწოდა „დიდი“.

მიჩნეულია, რომ 422 წ. ბაკური სამეფო ტახტზე მმამ, არჩილმა შეცვალა. ეტყობა, არჩილ I არა ნაკლები დიდი მეფე იყო, რადგან შეძლო სპარსული რელიგიური გავლენისაგან ქვეენის განთავისუფლება და სამხედრო საფრთხის თავიდან აცილება.

იბერების ბრძოლა სპარსელების წინააღმდეგ, პერიოდულად, სამშვიდობო ზავით და „მეგობრობით“ იცვლებოდა. ერთ ასეთ გადასვლას, ომიდან მშვიდობაზე, არჩილ მეფის დროს ჰქონდა ადგილი.

რანისა და მოვაკანის ტერიტორიაზე სპარსელი მარზაპანის ბარზაბოდის წინააღმდეგ ომს არჩილის ძე მირდატი აწარმოებდა. განგებამ ინება და მირდატი ბარზაბოდის მშვენიერ ქალწულ საგდუხტს შეხვდა და შეიყვარა. არჩილ მეფემ შვილის არჩევანი მოიწონა და არც იმის წინააღმდეგი ყოფილა, რომ მტრობა მოყვრობით შეეცვალათ. შედეგად, მირდატმა ცოლად საგდუხტი მიიყვანა და ეთნოსს მალე ეყოლა ვახტანგ გორგასალი.

1. IV ს. ბოლო მეოთხედში ბიზანტიაში, იბერების მონაწილეობით (ბუზმირ და ბაკურ იბერები, სუბარმახიონი, ფარსმანი და სხვ.), ბევრი რამ შეიცვალა. მათ შორის იყო მოვლენები, რომლის სიუკეტი „სამი მუშკეტერისას“ პგავს, მხოლოდ ეგაა, იბერთა (დღეს ქართველთა) შორის არ აღმოჩნდა. მსოფლიოს ერთი უდიდესი და უსაყვარლესი ავანტიურისტი-რომანტიკოსი ა. დიუმას მიმბაძველი, რომრეულური ისტორიები გაეცოცხლებინა. ეგებ ეს მომავლის საქმეა?



მევე მიღდატი ადრე წავიდა ამქვეყნილან. დატოვა მცირეწლოვანი ვახტანგი და სამი წლის ასული მირანდუხტი. ვახტანგის დაკაცებამ-დე სამეფოს დედოფალი საგდუხტი მართავდა იბერთა თანადგომით და სპარსელთა (მამისა და ძმების) ხელშეწყობით. მხოლოდ ეგაა, სპარსელებს იბერიაში პიტიახშის თანამდებობა დაუწესებითა.

ვახტანგი ცხრა წლის იყო, როცა კავკასიონის ჩრდილოეთიდან ჰუნების დიდი ჯარი გადმოვიდა, რომელსაც იმ დროს მიღებული წესით, თან მოსდევდა დაპყრობილ ოსთა დიდი სამხედრო რაზმი. ოსებმა ქალაქი კასპი ააოხრეს და სხვა ნადავლთან ერთად ვახტანგის და ტყვედ წაიყვანეს, მომავალში დიდი გამოსახყიდის მიზნით. ექვსი წელი ითმინა ვახტანგმა, სრულწლოვანი გამეფდა და საომარი სამზადისი ბრძანა.

ვახტანგ გორგასლის ცხოვრება და მოღვაწეობა იბერთა სიამაყის საგანი გახდა. ტანით გოლიათს შეეძლო და გოლიათური საქმე აკეთა. მის დროს სამეფომ კიდევ ერთხელ მიაღწია დიდ სიძლიერებს. მისი მოღვაწეობის შესახებ საკმაო ოდენობის ინფორმაცია და სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს.

მხოლოდ ერთია დასამატებელი: იბერიის სამეფოში უგრიისის მხარე შედიოდა, მაგრამ არა სრულად. ეს მდგომარეობა ჯერ კიდევ ფარნავაზიდან იღებს საწყისს. მემატიანის ცნობის თანახმად, როცა იბერიის სამეფო დაარსდა, ეგრისელთა ნაწილმა არ მოინდომა მასთან მიერთება. ნებაყოფლობით იყო თუ ძლიერთა (საბერძნეთის) გავლენით ეგრისელთა ჩრდილოელმა ნაწილმა უარი განაცხადა, ფარნავაზს დამორჩილებოდა. იბერიის სამეფოს შეუერთდა ეგრისელთა მთავარი — ქუჯი. დანარჩენებს ისტორია „ბერძნებისადმი მიმხრობილებად“ ასახელებს. გამოვიდა, რომ საბერძნეთსა და იბერიას შორის უგრიისი გაიყო. საზღვარი მდინარე ღალიძეაზე (ეგრის წყალზე) დაიდო. თავად ეგრისელები გაიყვნენ მდინარის გაღმელ-გამოღმელებად, ეგრებ-მე-გრებად. ეს იყო ეთნოსის გაყოფის, მათ შორის პოლიტიკური კედლის აგების პირველი მცდელობა.

გორგასლის დროს ვითარება, გარკვეულწილად, შეიცვალა. ბიზანტიისკეიისართან დამოყვრების გზით, დედოფლის შზითვის სახით მდ. ღალიძეიდან მდ. კელასურამდე (კლისურა, კორახი) ტერიტორია



იბერიას გადაეცა. ამით ეგრისის გამყოფი ხაზიც შეიცვალა. აიგო მეორე პოლიტიკური კედელი მდ. კელასურს გასწვრივ, გაღმელ-გა-მოღმელებს, ეგრებსა და მეგრებს შორის.

ერთია ნიშანდობლივი: იმ დროისათვის სასაზღვრო ჯებირები არ არსებობდა. ეთნოსის შემადგენლობაში ცვლილება არ ხდებოდა. ენობრივად, როგორც მეტყველებდნენ ეგრისულად, ასევე აგრძელებ-დნენ ეგრები და მეგრები, ისტორია იმ დროს არ იცნობს არც ერთ მომზღვრს ან ჩასახლებულს, რომელსაც ენობრივი ცვლილება შეე-ლო გამოეწვია. თავად ბერძნები, მცირერიცხოვანნი, ზეგავლენას ვერ მოახდენდნენ. ქრისტიანული ღვთისმსახურება ბერძნულად იმართე-ბოდა, რაც მოსახლეობისთვის გაუგებარი იყო. ამიტომ მოსახლეობა მხოლოდ ეგრისულად და გარკვეულწილად სვანურად მეტყველებდა. ეს, თქმა არ უნდა, არ გამორიცხავდა საჭიროების ოდენობით იმავე ბერძნულის, იბერიულის და შეიძლება სპარსულის ცოდნასაც.

იბერიისა და მისი სახელოვანი მეფე ვახტანგ გორგასლის ხანგრ-ძლივი ბრძოლა ბიზანტიის საკეისროსა და გაძლიერებული სპარსეთის სამეფოს წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით, მარცხით დასრულდა. თავად მეფე, ბრძოლისას ღალატით დაჭრეს და სამშობლოს შეწირა. მისმა მემკვიდრე დაჩიმ ვერაფერი უშველა დასუსტებულ ქვეყანას. ერთი ის იყო, რომ მამის ანდერძის თანახმად, დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა.

მალე სპარსეთმა იბერიაში მეფობა გააუქმა. ისტორიული ცნობის თანახმად ეს 523 ან 540 წელს მოხდებოდა.. ეს იყო ძლიერის უფლე-ბა. სომხეთში მეფობა გააუქმეს 428 წელს, ალბანეთში — 510 წელს, ახლა იგივე გაიმეორეს იბერიაშიც.

მეფობის გაუქმება ქვეყნის გაუქმება ხომ არ იყო. მოსახლეობა რჩებოდა და გრძელდებოდა ბრძოლა თავისუფლებისათვის. თავის მხრივ სპარსეთმა მიზნად უკვე ლიხს დასავლეთი მხარის საბოლოო მისაკუთრება განიზრახა. ამ ტერიტორიების დასაკუთრება საშუალე-ბას მისცემდა, ზღვით, უშუალოდ კონსტანტინეპოლის დამუქრებოდა.

ეგრისელები, რომლებსაც კოლხებსაც უწოდებდნენ და ბოლოს ლაზებსაც, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ორი მტაცებელი — ბიზანტია და სპარსეთი, არც ერთი მეორეს ინდობდნენ და არც ადგ-



ილობრივებს. ლაზთა მეფეები, წათე I, გუბაზ I, წათე II, გუბაზ II ცდილობდნენ ერთი მომსდურის დახმარებით მეორის თავიდან მოშორებას. ასე ცვლიდნენ ერთი მეორეს აგრესორები. თავად ლაზებს, ბუნებრივია, არც ერთი მათგანი არ სურდათ. ბოლოს, ბიზანტიამ მოახერხა დალატით გუბაზ მეფის მოკვლა. 554 წ. მის ნაცვლად მამა წათე გამეფდა და იყო 563 წლამდე. ამ წლს ბიზანტიამ უგრისში (ლაზეთში) მეფობა გააუქმა და ნაცვლად პატრიკიოსის თანამდებობა (ერისმთავრობა) დააწესა.

ამრიგად, VI ს. დამარცხება მოუტანა კავკასიელებს. მეფობა გააუქმეს. დადგა უმეფობის ხანა, ეთნოსები კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არ წყვეტდნენ.

იბერიის ქართთა მხარეში შემოღებული იქნა ერისმთავრის თანამდებობა. იგი, პრაქტიკულად, მეფის მაგივრობას სწევდა. იგივე ფუნქციებს ლიხს დასავლეთით პატრიკიოსი ასრულებდა. რამდენადაც ორივე ერთეულს მტრებიც საერთო ჰყავდათ, მათ შორის მოკავშირეობა, ურთიერთდახმარება და შეთანხმებული მოქმედება ბუნებრივი აუცილებლობა იყო.

საუკუნის ბოლოს „ტრადიციულ“ აგრესორებს, ბიზანტიას და სპარსეთს კავკასიონის ჩრდილოეთში ჩამოყალიბებული ხაზართა სახაფანო დაემატა. ხაზარები, თავდაპირეულად, ბიზანტიის მოკავშირის იერით მოქმედებდნენ და დამოუკიდებლადაც არაერთხელ ულაშქრიათ სამხრეთში.

ობიექტური რეალობა ისეთია, რომ იბერიას სამი მხრიდან, მასზე უფრო მძლავრი მტაცებლები მტრობდნენ. აღარ იყო დასავლეთელი მოკავშირე ლაზიკის (ეგრისის) სახით და ჩრდილოეთში ტრადიციული მოკავშირე ოვსეთი თავად იყო დაპყრობილი.

კიდევ ერთ, უჩვეულო აგრესორზე უნდა ითქვას. იგი თავად ვერ შეძლებდა იბერთა დახმარებას, მაგრამ ძლიერთან მიტმასნებით, ერთგულებით, არა ხაკლებს „შოულობდა“. საქმე იბერთა სამხრეთელ მეზობელ სომხებს (არმიანებს, პაოსიანებს) შეეხებათ. მზისქვეშეთში შესაძლებელი სივრცის დამკვიდრების დროს, ყოველი ეთნოსი გარემოების მიხედვით იქცევა.

უკვე ითქვა, რომ ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში თუბალთა ერთობის



რღვევისა და რვა სამუშალიბების დროს, პაოსს (პაიკს) ყველაზე უკეთესი და დიდი სივრცე ერგო. პაოსიანმა თუბალებმა დაიკავეს ვანი-ურმიის ტბების დასავლეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე ტერიტორია. დანარჩენი თუბალური ტომები მათგან ჩრდილოეთით მოექცნენ. ეტყობა, ადგილი პქონდა მნიშვნელოვან მიგრაციულ პროცესებს. სხვა ნაირად ძნელი ასახსნელია პერების ყოფნა კავკასიონის სამხრეთ კალთებთან და ვანისა და ურმიის ტბებს შორის. ქართ- კარდუხების ყოფნა კავკასიის სამხრეთ ნაწილებში და თუბალების სამოსახლოს უკიდურეს სამხრეთში.

პაოსიანი თუბალები დიდ არეალს იკავებდნენ და ბევრიც შეძლეს. მათ სივრცეში აღმოცენდა არაერთი გაერთიანება ტომებისა. უმთავრესი მაინც ცნობილი ურარტუს სამეფოა. ამ თუბალებმა მეშეხებთან (მუშებთან) შერევის შედეგად შექმნეს ე.წ. ტილ-გარიმის სამეფო. ეს მოხდა ძვ. წ. აღ XII ს.

კიმერიელების მიერ ამ სამეფოს დაპყრობის შემდეგ, იქ მომხდურთა ენა გაბატონდა, რომელიც, დროთა ვითარებაში, დღევანდელ სომხურ (არმიანულ) ენად ჩამოყალიბდა.

საუკუნეთა მანძილზე მათ გამოიმუშავეს გარემოსადმი შემგუებლობა და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. რამდენადაც სახელმწიფოებრიობა ადრე დაკარგეს, ძირითადი აქცენტი რელიგიურობაზე გადაიტანეს. რელიგიური ორგანიზაცია მათვის სახელმწიფო ორგანიზაციას ცვლიდა.

სომხების ასეთი ორგანიზაციული ფორმა უშუალო დამპყრობლებს საქმეს უადვილებდა. ამ გზით ჯერ ერთი სომხების (არმიანების) მორჩილებას უზრუნველყოფილების და მეორე, მათ სხვა დაპყრობილ ეთნოსებს უბირისპირებდნენ.

ეს გარემოება კარგად გამოიყენა სპარსეთმა. მოხდა ისე, რომ, როდესაც წინა და მცირე აზიაში ქრისტიანობამ ფეხი მოიკიდა, სამხრეთში, სირია-ეგვიპტის მხარეს, მონოფიზიტური გაგება დამკვიდრდა. ბიზანტიასა და იბერიაში, ეგრისში (ლაზიკაში) — მართლმადიდებლური. სომხეთში (არმენიაში) მონოფიზიტებმა მიაღწიეს წარმატებას.

სპარსეთში მართებულად გადაწყვიტეს, რომ მათი მთავარი მოწინააღმდეგე იყო ბიზანტია. თუ სპარსეთი დაპყრობილ ეთნოსებში



მონოფიზიტობას დაუშვებდა, ამით სომხეთს (არმენიას) ბიზანტია-საც დაუპირისპირებდა და იბერიასაც. სომხები პრივილეგირებულ მდგომარეობას დებულობდნენ. მოგებული რჩებოდა სკარსეთი. არა ნაკლებ მისი კოლონია სომხეთი.

614 წელს ქალაქ ქტეზითონში, სკარსელ სასულიერო პირთა დიდ შეკრებაზე შაჰმა გამოაცხადა, რომ მის იმპერიაში იკრძალებოდა ყოველგვარი ქრისტიანობა, გარდა მონოფიზიტურისა.

ცნობილია, რომ გარკვეული ღროის მანძილზე იბერიელები „სომხურ ქრისტიანობას“ თავისად მიიჩნევდნენ. ამის შემდეგ იწყება წინააღმდეგობა ამ ორი ეთნოსის ეკლესიათა შორის.

იმპერიაში დაპყრობილი ეთნოსები იჩაგრებოდნენ როგორც პოლი-ტიკურად და ეკონომიკურად, ასევე რელიგიურადაც. თუ მათ სურდათ ქრისტიანობის შენარჩუნება, უეჭველად სომხური, მონოფიზიტური გაება უნდა ედიარებინათ. ეს კი ნიშნავდა გასომხების უმოკლეს გზაზე დადგომას.

იბერიაში, სადაც სკარსეთი მათ რელიგიას სდევნიდა, დიდი იყო მონოფიზიტურ მრწამსზე გადასვლისა და გასომხების საფრთხე. და არა მხოლოდ სკარსეთი. ყოველი დამპყრობი, რუსეთის ჩათვლით, ამ ხერხს წარმატებით იყენებდა.

იმ ღროს კი სკარსეთის, ბიზანტიის, ხაზარეთის მხრივ საფრთხეს, გასომხების საფრთხე არ ჩამოუკარდებოდა. ყოველმხრივ მოცულ იბერიას თავდაცვა და მეობის შენარჩუნება უჭირდა.

655 წელს, ახალი, მძლავრი დამპყრობი მიაღდა თბილისის საზღვრებს. ეს იყო არაბობის დასაწყისი.

არაბებმა მოახერხეს უდაბნოებში გაფანტული ტომების გაერთიანება და, დაპყრობების გზით, ვრცელი იმპერია შექმნეს. კავკასიონის სამხრეთი მის ფარგლებში მოექცა. არაბებმა შეცვალეს სკარსელები, მათ ასევე დაამარცხეს ბიზანტია, რამდენჯერმე წარმატებით ილაშქრეს ხაზართა მხარეში. იბერიაში მათ მტკიცედ მოიკიდეს ფეხი.

ეგრისში კვლავ ბიზანტია მძლავრობდა. პატრიკიოსმა სერგი ბარნუკისძემ ტრადიციალქცეულ ხერხს მიმართა: ბერძნების განსაღევნად არაბები მიიწვია.



არაბებმა ჯერ კიდევ 686 წელს დადეს ხელშეკრულება ბიზანტიისთვის ხარკის შუაზე გაყოფის თაობაზე. ახლა საშუალება ეძლეოდათ, მეტი მიეღოთ. 697 წ. ისინი ლიხის მთას გადავიდნენ და ცამეტი წლის მანძილზე მოელი ეგრისი ხელო იგდეს.

ბიზანტიამ არაბთა მუხანათობას ხახარებთან განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებით უპასუხა. 711 წლიდან ისინი ერთობლივი ძალით იმოქმედებდნენ არაბთა წინააღმდეგ. ამავე დროს ბიზანტიამ ტაქტიკა შეცვალა მისგან არაერთგზის აოხრებული კავკასიელების მიმართ და მათი შეგულიანება-დახმარება დაიწყო.

საქმე ის არის, რომ არც ერთი დაპყრობილი მხარე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას არ წყვეტდა. იბერიის აღმოსავლეთში ბრძოლას სათავეში ერისმთავარი ედგა, დასავლეთში კი — პატრიკიოსი. მათ ურთიერთდახმარებით შეეძლოთ წარმატების მიღწევა. ბიზანტიამ ებრძოლებს დახმარებას და აღიარებას პპირდებოდა. ყველას პირველი რიგის მიზანი კი არაბობის უღლის მოშორება იყო.

შეიკრა სამთა კავშირი, რომელსაც ხახართა სახაფანო დახმარებას უწევდა.

VIII ს. პირველ ნახევარში ერისმთავარ სტეფანოზის, მისი ვაჟების: მირისა და არჩილის ბრძოლამ პატრიკიოს ლეონ I კავშირში, შედეგი გამოიღო. 735 წ. მათ ანაკოფიის ციხის (ამჟამინდელი ახალი ათონის) მიდამოებში არაბები დაამარცხეს და ლიხის მთამდეტერიტორიები გაასუფთავეს.

საერთო წინააღმდეგობის პროცესებისას, ჯერ პატრიკიოსმა ლეონმა და შემდეგ მირი-არჩილმა, ბიზანტიასთან ვახტანგ გორგასლის დროს დადგებული ხელშეკრულება დაარღვიეს და მდ. კელასურის ჩრდილოეთით აწარმოეს ბრძოლები. ბიზანტიას ისედაც დაკარგული ჰქონდა ეს მხარე, ამიტომ დასაშვებად მიიჩნია ასეთი მოქმედება. ჯერ ერთი, სცნო პატრიკიოს ლეონ I უფლებები მდ. კელასურის ჩრდილოეთ ეგრისში (აფხაზეთის სამთავროში) და მეორე, აღიარა მირისა და არჩილის მეფური უფლებები კელასურის სამხრეთ ეგრისში. თავის მხრივ, ბიზანტიამაც მოიგო: აღიარა რა ლეონისა და მირი-არჩილის უფლებები, ამით შეინარჩუნა ყოფილი მფლობელის პრეტენზიები. მისი თანხმობით მოხდა ყოველივე. ეს იმპერიისთვის პოლიტიკური სახის შენარჩუნება იყო.



მეფე არჩილმა, თავისი ენერგიული მოღვაწეობით, მოახერხა იბერიის ყოფილი ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილის დაქვემდებარება. რაც მთავარია, მეფობა აღადგინა. როგორც მეფე, არჩილ II, თავის გავლენას ევრისის იმ ნაწილზეც ავრცელებდა, რაც დაკარგული იყო ფარნავაზის ეპოქიდან მოყოლებული.

ბედისწერამ ინება და მეფე არჩილს მემკვიდრეები არ დარჩენია. ერთადერთ კანონიერ მემკვიდრეს წარმოადგენდა ლეონ II პატრიკიოსი, დინასტიური კავშირების ძალით.

ლეონ I იყო მეფე არჩილის ძმის მირის სიძე და მემკვიდრე. ლეონ I მემკვიდრე კი იყო ცოლის, გურანდუხტის აღზრდილი, ძმის შვილი ლეონ II.

ლეონ II პატრიკიოსის უმცროსი ძმა თეოდოსი (ზოგის აზრით, შვილი) ქართლის ყოფილი ერისმთავრის, ტაო-კლარჯეთის სამეფო შემქმნელის აშოტ კურაპალატის სიძეს წარმოადგენდა. ამ ნიადაგზე ლეონ II და აშოტ კურაპალატი შეთანხმებით მოქმედებდნენ.

როდესაც მეფე არჩილ II უკანასკნელი მემკვიდრე ჯუანშერი 786 წ. უძეოდ გარდაიცვალა, არავინ დარჩა ტახტის კანონიერ პრეტენდენტად, ლეონ II პატრიკიოსის გარდა. ვითარება მოითხოვდა სწრაფ მოქმედებას და ლეონმა 787 წ. თავი მეფედ გამოაცხადა.

საინტერესო ფაქტია: რამდენადაც ლეონი აფხაზეთის მთავარი იყო, მის მიერ შექმნილ სამეფოს აფხაზეთის სამეფო უწოდეს. ოღონდ ეგაა, არც ლეონი და არც შემდეგი მეფეები თავს აფხაზეთის მეფეს კი არ უწოდებდნენ, არამედ უბრალოდ მეფეს. ეს ბუნებრივიცაა, ისინი იყვნენ მეფეთა მემკვიდრეები, რომლებიც ფლობდნენ ეგრისს, ქართლს, კახეთს და ზოგ სხვა კუთხეს.

მეფეთა დივანი, რომელსაც მკვლევარებმა უწოდეს აფხაზეთის მეფეთა დივანი, მოიცავდა სახელებს, რომელთაც აფხაზეთის სამთავრო არ ეკუთვნოდათ. ცნობილი ეგრისის (ლაზიკის) მეფეები: გუბაზ I (455-510 წწ.), წათე I (510-531 წწ.), გუბაზ II (531-554 წწ.), წათე II (554-563 წწ.), ითვლებოდნენ სამეფოს ფუძემდებლებად, პირველ მეფეებად. არადა, ისინი ეგრისის ჩრდილოეთს ვერ აკონტროლებდნენ.

აფხაზეთის მეფეები ფლობდნენ ტერიტორიას ტრაპეზუნტიდან ჩრდილოეთით მდ. ყუბანამდე (ძინარე მცირისა ხაზარეთისა) და



ლიხის მთიდან შავ ზღვამდე. მათ სამფლობელოში დიდი ტერიტორია და მრავალი ტომი იყო მოქცეული. პოლიტიკური მოსახრებების გამო, დედაქალაქად ქუთაისი აქციეს და ამით ქართლს მიუახლოვდნენ. მემკვიდრეობის ძალით მათ ქართლიც ეკუთვნოდათ, დვალეთიც, კახეთიც და პერეთიც ე. ი. იბერიის სამეფოს მთელი ტერიტორია.

მეფე ლეონი და მისი მემკვიდრენი, თავის წინაპრებად ლაზიკის მეფეების აღიარებით, ხაზს უსვამდნენ მთელი იმ მხარის ფლობის კანონიერებას. ამავე დროს სრულიად კანონიერად აცხადებდნენ პრეტენზიას ქართლის დიდ ნაწილზე.

ქართლი იბერიის სამეფოს ცენტრს წარმოადგენდა პოლიტიკურა-დაც, გეოგრაფიულადაც, ეკონომიკურადაც და რელიგიურადაც. ვინც ფლობდა ქართლს, ამით პრეტენზიას აცხადებდა დანარჩენ მხარეებზე და ფლობდა ინიციატივას საერთო საქმეების განხილვისას.

განვებამ ინება: როცა ლეონ II ლიხს დასავლეთის მხარის მეფე გახდა, ქართლში როული და გაურკვეველი ვითარება იყო: იბერიის დედაქალაქად გამოცხადებულ თბილისში არაბები ბატონობდნენ. არაბული საამიროს უფლებით სხვათა საქმეებშიც აქტიურად ერეოდნენ. კახეთის მხარეში შექმნილი იყო სამთავრო, რომელსაც ქორეპის-კოპოსი ხელმძღვანელობდა. კახეთისა და ქართლს შორის საზღვრად მიჩნეული იყო მდ. არაგვი. ქართლის სამხრეთი დიდი ნაწილი ბაგრა-ტიონების საგვარეულო სამფლობელოდ იყო ქცეული. ჯერ აშოტ კურაპალატმა შექმნა აქ დიდი ტაო-კლარჯეთის სამეფო-სამთავრო, შემდეგ მისმა მექვიდრეებმა იგი სამ სამეფოდ ჩამოაყალიბეს.

მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებს შორის დაუდგენელი, გაუნაწილებელი რჩებოდა მდ. მტკვრის (კორი) მარცხენა მხარის ქართლი. ამ ვრცელი ტერიტორიის მითვისება ყოველ ერთეულს სურდა. ყველაზე აქტიური ამ მხრივ კახეთის ქორეპისკოპოსი იყო. თუმცა ყველაზე საფუძვლიანი პრეტენზია აფხაზეთის სამეფოდ წოდებულ ეგრისს ჰქონდა. აფხაზთა მეფეებმა პრეტენზიების გამყარების მიზნით (სხვა ფაქტორებთან ერთად), იქ არსებული, ბიზანტიას დაქვემდებარებული, ეკლესიათა სისტემა მცხოვრის საკათალიკოსოს შემადგენლობაში გააერთიანეს. ამიერიდან იქ მღვდელმსახურება ბერძნულის ნაცვლად იბერიულად (რაც იგივეა, ქართულ ენაზე) უნდა წარმართულიყო. ეს



ცხადია, იბერიის სამეფოს კუთხეებს ენობრივადაც აახლოებდა და რწმენითაც.

მართლა იმ იბერიის სამეფოს მხარეებში ყველგან იბერები (თუბალები) სახლობდნენ, მაგრამ პქონდათ მათ განსხვავებული მეტყველება. უკვე ითქვა, რომ ჯერ კიდევ ძვ. წ. აღ. III ათასწლეულში ეგრისელები იყოფოდნენ ეგრისელებად და სვანებად. ენათა სხვაობა, მათ შორის, არასოდეს იწვევდა წინააღმდეგობას. თავად ეგრისული იწოდებოდა კოლხურად და ლაზურადაც. არც ამას გამოუწვევია გაუცხოება. იბერები (თუბალები) იყვნენ დვალები და დურძუკები (დღევანდელი ჩეჩენ-ინგუშები). მათაც თავიაზო ენები პქონდათ.

ენობრივ სხვაობას ხაზი გადაესვა იმის სამახსოვროდ, რომ იმ დროს არც ოსური დვალეთში და არც ადიღური აფხაზეთში, არ შეიძლებოდა ყოფილიყო. ოსური, თუ საჭიროების გამო ვინმეს გაეგონა, ადიღური, საერთოდ, ცნობილი ხდება XIII საუკუნიდან შავი თუ აზოვის ზღვების ჩრდილოეთში. კავკასიონის ჩრდილოეთში ისინი XVI ს. ბოლოდან იწყებენ მომთაბარეობას.

მეფე ლეონ II მთელი ლიხს დასავლეთი მხარე დაიკავა, პრაქტიკულად აღადგინა ათასწლეულობით არსებული ეგრისის „კუთვნილი“ სივრცე. აფხაზეთის სამეფომ დიდ ძლიერებას X ს. პირველ ნახევარში მიაღწია. მეფე გიორგი II დამორჩილებული ჰყავდა ჩრდილოეთით ჯიქები (კავკასიანური წარმომავლობის ტომი), გავლენას ავრცელებდა ალანებზე (ამ ალანების, კავკასიელების, შემდეგ ყივჩადების შერევის შედეგად თანდათან შეიქმნა ყარაჩაელთა და ბალყარების ეთნოსები). ცალკე უნდა ითქვას აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ, რელიგიურ, კულტურულ გავლენებზე ოსეთის მხარეს. აღმოსავლეთით გიორგი II დაიკავა ქართლის სადაო მდ. მტკვრის მარცხენა მხარე, კახეთი და პერეთს გადასწვდა. მის დროს აღსდგა იბერიის სამეფო ტერიტორია. ქართლის მდ. მტკვრის მარჯვენა მხარის გამოკლებით. იქ, იმ დროისათვის სამი სამეფო იყო.

მდინარე მტკვრის მარჯვენა მხარეს, აფხაზეთის მეფე გიორგი II სიძე, გურგენ ბარგატიონი ფლობდა. მას მეუღლე გურანდუხტისგან ჰყავდა მემკვიდრე ბაგრატი (თავად გურანდუხტს ეკუთვნოდა ქართლის საერისთაო ცენტრით უფლისციხეში). გურგენის მამა ბაგრატ „რეგუენად“ წოდებულს, ქართლის მეორე ნაწილზე პქონდა მეფობა.



მესამე დიდი სამეცნიერო შეკვეთი იყო ტაოს მხარეში. იქ სახელოვანი დავით დიდი კურაპალატი მეფობდა. დავითს ხელი ბიზანტიის იმპერიის მთელ აღმოსავლეთზე მიუწვდებოდა და ცდილობდა კიდევ მის შემომტკიცებას. ცნობილია, რომ ვანის ტბის მიდამოებში 200 ათასი ქართი ჩაასახლა და ეს მხარე, გარკვეულწილად, გააქართა. დავითს თავის მფარველად მიიჩნევდნენ სომხები. ყველაფერი ჰქონდა: სახელი, სიმდიდრე, გავლენა. არ ჰყავდა შვილი. სამივე სამეცნიერო ერთად-ერთი მემკვიდრე გურგენ და გურანდუხტის ვაჟი ბაგრატი იყო.

ისტორიულმა ბედუქულმართობამ ინება და არც აფხაზეთის მეფეებს ეყოლათ მემკვიდრეებად ვაჟები. მათი საქმის გამგრძელებელიც ბაგრატი უნდა გამხდარიყო.

978 წელს, საერთო თანხმობით და ფეოდალთა გარკვეული ნაწილის წინააღმდეგობის პირობებში, ბაგრატი აფხაზეთის მეფედ აკურთხეს.

მკვლევარები XIII ს. ბოლომდე მაინც თუბალ-იბერთა ამ დიდ სამეცნიერო აფხაზეთს უწოდებდნენ. აფხაზეთის სამეცნიერო მოიცავდა ქართებით დასახლებულ ყველა მხარეს. ამიტომ მას ასეთივე უფლებით საქართველოსაც უწოდებდნენ. მეფეთა ტიტულატურა მოიცავდა: მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა და ა. შ.

საინტერესო მოვლენაა, თუ მივიჩნევთ, რომ აფხაზეთი უნდა რქმეოდა, გარკვეულ მყარ დასაბუთებასაც ვნახავთ. თუ საქართველოს ვიტყვით, არც ესაა საფუძველს მოკლებული. უფრო ახლო განჩხრეკა საკითხისა ბევრ კითხვასაც ბადებს. აფხაზეთი არა მხოლოდ აფხაზების (ეგრისელების, კოლხების, ლაზების) მხარეა. საქმე მხოლოდ ის როდია, რომ აფხაზებს ადრე ეგრისელები ერქვათ ან ის, რომ საკუთრივ აფხაზთა ტომი ეგრისელთა მხოლოდ ნაწილს წარმოადგენდა. თავად აფხაზეთის საერთოთა 626 წ. ბიზანტიის კეისარ ჰერაკლეს გადაწყვეტილებით შეიქმნა. აბაზგებად (აბასკებად) წოდებული ტომი ერთიანდებოდა და ერთიან პოლიტიკურ ერთეულს ჰქმნიდა. თავად აფხაზეთი, თავდაპირველად, მცირე ტერიტორიას მოიცავდა. ამდენად, მთლიანი სამეცნიერო აფხაზეთის დარქმევა მხოლოდ პირობითად შეიძლებოდა. აფხაზეთის მეფეებმა კი გაავრცელეს გავლენა კახეთ-ჰერეთზე, მაგრამ რამდენად იქცა ეს მხარე აფხაზეთად, დასაკონკრეტულებელია.



ასევე პირობითად შეიძლება ბაგრატის სამეფოს ეწოდოს საქართველო. სამეფო მოიცავდა არა ქართებით დასახლებულ მნიშვნელოვან ტერიტორიებს. საქართველო სახელწოდება გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სიტყვა ქართველს შინაარსს შეუცვლიდნენ. ვთქვათ, უძველესი სახელწოდება თუბალები, დროთა ვითარებაში შეიცვალა იბერებით. როგორც თუბალები შეადგენდნენ მრავალ ტომთა რვა გაერთიანებას, ქმნიდნენ რვა მონათესავე ეთნოსს და მათ სამეფოებს, ასევე იბერები მოიცავდნენ ყველა თუბალური წარმომავლობის ეთნოსებს. იბერიის სამეფო აერთიანებდა ქართებს, ეგრისელებს, სვანებს, დვალებს, დურძუკებს. არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ მთის იბერების სხვა ტომები. თვით კახელები და ჰერებიც არ წარმოადგენდნენ ქართებს. სხვანაირად არ ითქმებოდა მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა (პერთა) და კახთა.

ყოველივე ითქვა იმის საჩვენებლად, რომ არც აფხაზი, არც ქართი შინაარსობრივად არ ფარავდა იბერს. იბერი შედარებით ფართო გაგების მომცველია. აფხაზეთი და საქართველო იბერთა (თუბალთა) მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მოიცავდნენ.

ისტორიას უკან ვერ დააბრუნებ. დღეს კამათი, რა უფრო უპრიანი იქნებოდა, მხოლოდ თეორიული ვარჯიშის საკითხად დარჩებოდა, რომ არა ჰქონდეს მას ლოგიკური გაგრძელება. ეს მით უფრო ნათელი ხდება დავით აღმაშენებლის ეპოქის შემდეგ.

დავითი, უწინარესად, აფხაზი იყო. ლიხს დასავლეთი მხარის წარმომადგენელი. მისი მეფობის პერიოდში და შემდეგაც, ლიხს იმერი მხარის დიდებულებს ეკუთვნოდათ უპირველესი თანამდებობები.

დავითი ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შთამომავალი იყო. მტკვრის (კორი), არაქსის, ევფრატის და ჭოროხის სათავეების მხარე იყო ბაგრატიონთა უპირველესი სამშობლო. დავითის დიდი პაპა აშოტი ქართლის ერისმთავარი იყო. არაბებს გარიდებულმა ჩამოაყალიბა ტაო-კლარჯეთის სამეფო. შესაბამისად, მასში განივთებული იყო იბერიის ყოფილ სამეფოს მრავალი მხარის წარმომავლობა. ამიტომ იბრძოდა იბერიის ტომ-ეთნოსთა, კუთხეების შეკრებისათვის და ბევრსაც მიაღწია.

მხოლოდ ეგაა, დავით აღმაშენებლის დროს ბევრს უკვე მივიწყებული ჰქონდა თავისი თუბალურ-იბერიული წარსული.



ჰაოსიანი თუბალები უკვე ათასწლეულზე მეტი წანი არმიანობდნენ. მართალია, ისინი არ კიმერიელობდნენ და არც სხვა თუბალებთან (უკვე იძერებთან) შორეულ კავშირებს უარყოფდნენ, მაგრამ მათთან დაპირისპირებასაც არ ერიდებოდნენ. არც ისე მრავალრიცხოვანნი იყვნენ არმიანები, რომ მათზე გავლენა ვერ მოეხდინა, ჯერ ერთი, ძველ თუბალურ ფესვებს, მეორე, ტიგრან II მიერ ჩასახლებულ ნახევარ მილიონ ტიბარანელს და ბოლოს, დავით კურაპალატის მიერ ჩასახლებულ 200 ათას ქართს. ამას უნდა დაემატოს ალბანური ელემენტების დიდი რაოდენობა და საბოლოოდ ეთნოსი, პირობითად, შეიძლება გაიყოს თუბალ-იძერიული წარმოშობისა და კიმერიელების ნაწილებად.

დავით აღმაშენებლის ეპოქაში ძველი ნათესაობის გრძნობა ჩანს, უფრო მძლავრი იყო და ამიტომ სომხობა მედგრად იბრძოდა დაკარგული კავშირების აღდგენისათვის. ამიტომ დავით აღმაშენებელმა სომხეთი კი არ დაიპყრო, არამედ მტრებს გამოგლიჯა, როგორც მშობლიური მხარე.

კიდევ უფრო რთული ვითარება იყო დღევანდელი აზერბაიჯანის მხარეში. ძვ. წ. აღ. VIII ს. მოყოლებული იქ მშვიდობა პირობითი მცნება იყო. დამპყრობ-მოთარეშენი ერთმანეთს ცვლიდნენ და თუბალ მოვაკანელ-ბარდოსელთა გადაგვარებას ხელს უწყობდნენ. მიიჩნევა, რომ არაბებმა პირველებმა შეძლეს უკვე ალბანელებად წოდებულ თუბალ-იძერების გადაჯიშება. არც სპარსელებს დაუკლიათ ხელი. ყველაზე ფუნდამენტური ცვლილებები თურქებმა განახორციელეს. მათ შემდეგ თუბალური აღარაფერი დარჩა. დღეს რიგი აზერბაიჯან-ელი მკვლევარებისა ეძებს თუნდაც ალბანურ ნიშნებს, მაგრამ რა იქნება შედეგი?

1935 წ. კავკასიონის სამხრეთში მცხოვრები მუსულმანების ხელაღებით აზერბაიჯანელებად გამოცხადება, რამდენადწაადგება ახალი ერის ფორმირების საქმეს, ჯერ კიდევ საკითხავია. ამ ტერი-ტორიაზე ცხოვრობდნენ თურქები, სპარსელები, თათრები, ლეკები,, ბორჩალოელები და ა. შ. მათ შორის მუსულმანობას ნაზიარები მესხები. რამდენად სამართლიანია ყველას ერთ ჩარჩოში მოქცევა და ეროვნული ინდივიდუალურობის წაშლის ცდა?



ვთქვათ ბორჩალუს ტომი. ისინი საუკუნეების წინ შაპ-აბასმა ჩამოასახლა ქვემო ქართლში ისევე, როგორც ქართველები ჩაასახლა ფერებიდანში. განა, ამით მათი ინდივიდუალობა წაიშალა? ცნობილი ფაქტია, რომ ბორჩალუელები ყოველთვის ქართველების მხარდამხარ იცავდნენ მათოვის საშმობლოდ ქცეულ მიწას. ისიც ცნობილია, რომ ორჯერ დააპირეს უკან, ირანში დაბრუნება და ერეკლე II ხათრით დარჩნენ. ნაკლებად აქცევენ უურალდებას. იმ ფაქტს, რომ დედინაცვალ დარეჯანს გარიდებული მეფისწული გიორგი ქ. ყაზახში ცხოვრობდა. მისთვის აღგილობრივი ბორჩალუელები უფრო სანდონი იყვნენ.

დღეს პანთურქიზმისა და პანისლამიზმის მძლავრობის პერიოდში წაშლილია აზერბაიჯანის მაცხოვრებლებს შორის თუბალურ-ალბანური გაგება და ერთობის გრძნობა. რა იყო ათასი წლის წინ? დავითმა როდესაც დაიკავა ტერიტორიები დარუბანდამდე, იყო ცოცხალი უძველესი ერთობის გაგება? — ვინ იცის!.. ფაქტია ისიც, რომ მონ-დოლების შემოსევამდე ერთობას ინარჩუნებდნენ.

მეტი იყო ერთობის გაგება ლეკებს (ლეკოსიანებს) შორის. მართალია, დროთა ვითარებაში იქაც დაწყებული იყო გაუცხოების პროცესი, სკვითებიდან (ძვ. წ. აღ. VIII ს) მოყოლებული, ეს მხარე ბევრმა მომხდეურმა ხელყო, მაგრამ აღმაშენებლის დროს ისინი მაინც ინარჩუნებდნენ სხვა თუბალ-იბერებთან ერთობის გაგებას. დღევანდელი დაღესტნის ტერიტორიაზე მრავალი ქრისტიანული ძეგლის შემორჩენილობაა ამის დასტური. რომ არა მონღოლების ამომბირკველი შემოსევა, შემდეგ თემურ ლენგის გაუთავებელი თარეში, ეჭვი არაა, თუბალ-იბერიული მათში შედარებით მეტი იქნებოდა.

თანამედროვე პირობებში დაღესტანი ყველაზე მეტადაა დაყოფილი სხვადასხვა ენებზე მეტყველ ნაწილებად. ამტკიცებენ, რომ იქ ორმოცამდე ენა და დიალექტია ხმარებაში. ასეთ დროს ურთიულესი საქმე იქნებოდა ეთნიკური თუ ენობრივი სიწმინდის დაცვა, მაგრამ რამდენადაც ისინი კავკასიურ ტიპს განეკუთვნებიან, იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში შედიან, შეიძლება ითქვას, რომ ბევრი მათში ჯერ კიდევ მძლავრადაა შემონახული.

დღევანდელ ჩეჩენ-ინგუშებზე (ვაინახებზე) სამსჯელო ბევრი არაფერია. თუ ვინმეტ შეურყვნელად შემოინახა თუბალ-იბერიული ეთნოსის თვისებები, ეს მათზე ითქმის.



საკითხავი და საკვლევი ერთია: ფარნაგაზის (ძვ. წ. აღ. IV ს) დროიდან მოყოლებული, ისინი იძერის სამეფოს შემადგენლობაში ფიქსირდებიან. ამ დრომდე იყვნენ ისინი ცალკე ერთეულად თუ სკვითების შემდეგ, სარმატების მხრივ, რბევის შემდეგ. უკვე ქართ-იძერებთან ერთად აგრძელებენ ცხოვრებას, დასაზუსტებელია. ასევე უცნობია, იძერიაში მეფობის მოშლის შემდეგ ხანაში, ისინი კვლავ ერთად არიან თუ ვაინახები უკვე დამოუკიდებელ ცხოვრებას აგრძელებენ.

ვაინახების დასაკვლეთით დგალების სამფლობელო იყო. აღმაშენებლის ეპოქაში ისინი ტერიტორიასაც ინარჩუნებდნენ და ქნასაც. ამასთან, მათი მეტყველება შეიძლება გარკვეულწილად განიცდიდა ცვლილებას, ერთი მხრივ ჩასახლებული დურძუებისა და მეორე მხრივ ქართ-იძერების ზეგავლენით.

დგალებისგან დასაკვლეთით ბასიანის მხარეში აღანების, დგალებისა და ჩრდილოეთის სვანების სამოსახლო იყო. მათში თურქ-ყივჩაღთა შერევის შედეგად იწყება. ყარაჩაელი და ბალყარი ეთნოსების ჩამოყალიბება. ამისდა მიუხედავად თვით სვანები XIX ს. ინარჩუნებენ მეობასა და ტერიტორიულ სივრცეს. ცნობილი მკვლევარი თ. მიბჩანი, რომელმაც საფუძვლიანად გააანალიზა პრობლემა, აღნიშნა, რომ დაახლოებით ორმოცი გვარის წარმომადგენლებს ყარაჩაში, ახსოვთ თავიანთი სვანური წარმომავლობა. ჩრდილოეთ კავკასიელები, როდესაც რუსეთის იმპერატორს კოლექტიურად მიმართავდნენ, მიუთითებდნენ, რომ იმ ოთხ ეთნოსს შორის, რომელიც იმ მხარეში სახლობენ, ერთი სვანებია.

კავკასიონის ჩრდილოეთში ძველ დროს მაცხოვრებელი ტომების შესახებ ცნობები, პრაქტიკულად, არ არსებობს. ყოველ შემთხვევაში არსებული სამეცნიერო ლიტერატურაარაფერს რეალურს არ შეიცავს.

ძალზე მოკლე მიმოხილვა მოითხოვა იმის აღნიშვნამ, რომ თუმცა თუბალ-იძერთა არეალი და ეთნოსთა შემადგენლობა ნაწილობრივ შეიცვალა (დრომ იცის ცვლილება), ძირითადი ბირთვი კვლავ შეურყვნელი დარჩა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არც ტერიტორიულად და არც ეთნიკური თვალსაზრისით არ იფარგლებოდა ერთი რომელიმე შემადგენლის საზღვრებით.



მეფე აფხაზთა, ქართველთა, ჰერთა და კახთა...

დავით აღმაშენებლის მიერ შექმნილ სამეფოს კი ეძახდნენაფხაზეთს, მაგრამ იგი ბევრად ვრცელი და მრავალფეროვანი გახლდათ. საკუთრივ, აფხაზებად მიჩნეული იყო ლიხს დასავლეთი ქვეყანა. სამეფოს ასევე იხსენიებენ საქართველოდ. სინამდვილეში ქართველობა, მათი მრავალრიცხვნების მიუხედავად, სამეფოს ვერ ფარავდა. ქართველებს გარდა, მრავლად იყვნენ სხვა ეთნოსები.

სულ სხვა სურათი იხატება, თუ ითქმება იბერია. ძვ. წ. აღ. III ათასწლეულის თუბალთა არეალთან შედარებით, იბერთა სამოსახლო შემცირებულად გამოიყურება. ასევე შეცვლილია თუბალურ ეთნოსთა იერი. მათ ყველას იბერს ვერ უწოდებ, თუმცა ცალკეული ნიშნები ჯერ კიდევ სახეზეა. იბერები იკავებენ თუბალურ სივრცეს და შედარებით სრულად ითავსებენ დავით აღმაშენებლის სამეფოში შემავალ ეთნოსებს. შესაბამისად, უპრიანია ამ სამეფოს, მის ცალკეულ ნაწილებად დაშლამდე იბერია ეწოდებოდეს. სრულიად გამართლებულია, როცა მკვლევარები ხაზს უსვამენ კავკასიურ-იბერიულ ეთნოსთა ერთობას.

ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ სულ სხვა დასახელების ერთეულები ყალიბდება. თუ XIII ს. ლიხს დასავლეთ ქვეყანას ჯერ კიდევ აფხაზეთს უწოდებდნენ, შემდეგ იგი „იმერეთმა“ შეცვალა. უცნაური კანონზომიერებაა. ითქმება: მაღლა-დაბლა, გაღმა-გამოღმა და ა. შ. ლიხის მთა ყოველთვის ყოფდა ქვეყანას იმიერ და ამიერ ნაწილებად. აქედან იმიერი დამკვიდრდა. იმერეთის სამეფო უკვე სრულად მოიცავდა ყოფილ აფხაზეთის სამეფოს.

სხვანაირად მოხდა ამიერ მხარეები. ამიერი ორ სამეფოდ და ერთ სამთავროდ ჩამოყალიბდა. ამასთან, ამიერი არც ერთს არ ეწოდა. მხოლოდ ეგაა, ხშირად ივერიად მოიხსენიებდნენ. არა იბერიად, არამედ ივერიად.

ცნობილია, რაომ რუსეთის იმპერიის შექმნელი პეტრე დიდი თავს ივერთა მეფის მემკვიდრედ მიიჩნევდა და არც მაღლავდა თავის წარმომავლობას. არა კახეთის ან ქართველთა, არამედ ივერიის მეფეთა მემკვიდრეს უწოდებდა თავს. იმ დროს რუსებს ეამაყებოდათ ივერიასთან კავშირი.



როცა რუსეთმა იმპერატორი დაიპყრო, დაიწყო ისტორიულად დამკიდრებული სახელების წაშლა, სანაცვლოდ, იმერეთის ყოფილ სამეფოს უწოდეს ქუთაისის გუბერნია, ხოლო ქართლ-კახეთის სამეფოს — თბილისის გუბერნია.

ესეც არ იქმარეს. იმერეთის სამეფოში გურიის, ოდიშის (სამეგრელოს) და აფხაზეთის სამთავროები შედიოდა. 1864 წლამდე, როდესაც რუსეთმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა, შარვაშიძეთა სახლობა ხოსტამდე ტერიტორიას აკონტროლებდა. უფრო მეტი იყო რუსეთან შეერთებამდე.

ისტორიულად ოდიში სამეგრელოსა და აფხაზეთს მოიცავდა და ასე ერთიანდებოდა იმერეთის სამეფოში. ამიტომ იყო, რომ ოდიშარები თავგამოდებით იცავდნენ აფხაზეთის ჩრდილოეთს.

თავად სამთავრო ათასწლეულობით იყოფოდა, ჯერ ეგრისწყალს (მდ. დალიძგას) გაღმა-გამომა მხარეებად ე.წ. ეგრებ-მეგრებად, გვიან ან მათ ეწოდათ აფხაზები და მეგრელები. ეს იყო ერთიანი ორგანიზმის ხელოვნური (პოლიტიკური) გახლება. ერთი რჩებოდა სამეტყველო ენა, ტრადიციები, ადათ-წესები, რელიგია, კულტურა.

ლევან II დადიანის უხიაკობამ დაუდო სათავე ოდიშის სამთავრო-საგან აფხაზეთის სამთავროს გამოყოფას. ამას მოჰყვა დაქირავებულ აფხართა ჩამოსახლება გუდაუთის რაიონში და გაძლიერებული შარვაშიძეების მიერ მდ. ენგურამდე ტერიტორიების დაკავება.

რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევის შემდეგ, იმერეთის სამეფო ხდება ქუთაისის გუბერნია, ხოლო აფხაზეთის სამთავრო, ჯერ სოხუმის სამხედრო განყოფილება, შემდეგ კი ქუთაისის გუბერნიის სოხუმის მაზრა.

იმავდროულად, აფხაზეთის სამთავროს ჩამოაჭრეს სამხრეთი, სამურზაყანოდ წოდებული ნაწილი. ასევე ჩამოაცილეს და ჩრდილო კავკასიის რუსულ მმართველობას გადასცეს გაგრის ჩრდილოეთი აფხაზეთი.

შაგრენის ტყავივით შემცირებულ აფხაზეთის მაზრაში აკრძალული იყო ყველაფერი ეგრისულ-აფხაზური. სანაცვლოდ ჩამოსახლებულ აფხარებს უწოდეს აფხაზები და შეუქმნეს პირობები. განსაკუთრებით საბჭოთა წყობილების დროს.. ამრიგად, ჭეშმარიტი ეგრის-აფხაზები გადანათლეს მეგრელ-ქართველებად და მათ დაკინებას შეეცადნენ.



1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დეკლარაცია. იგი სრულიად აერთიანებდა ყოფილი იმერეთისა და ქართლ-კახეთის სამეფოებს ტერიტორიითა და მოსახლეობით. ის იყო ქართველთა რესპუბლიკა თუ აფხაზთა, ქართველთა, დვალთა, და ა. შ. ქვეყანა?

მის შემადგენლობაში შედიოდნენ სვან-აფხაზები, ეგრებ-მეგრები, დვალები, ჰერები, ქისტები, ლეკები და სხვა თუბალ-იბერიული წარმომავლობის ტომები და რაკი ასეა, იგი უფრო საქართველოს (ქართველობას) ასახავდა თუ იბერიისას? ქართველობა ყველა ტომს ვერ მოიცავდა, იბერებისგან განსხვავებით. მას უფრო იბერია (ივერია) შეესატყვისებოდა.

1921 წლის შემდეგ, ქვეყნის რევოლუციური ანექსიის შემდგომ ხანაში, ყველაფერი იგეგმებოდა მოსკოვში, საბჭოთა იმპერიის ცენტრში და ხორციელდებოდა მათი ნებართვით. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა საოლქო ავტონომიის უფლებრივ ფარგლებში მოქმედებდა. მისი ამოცანა მოსკოვის დირექტივების აღსრულება იყო, მოსკოვს კი აინტერესებდა საქართველოდ წოდებული ერთეულის მრავალნაციონალური აღრევა-შეჯვარების ლაბორატორიად გადაქცევა.

1991 წელს გამოცხადებული დამოუკიდებლობა პროცესის დასაწყისს წარმოადგენდა. იყო აზრი ახლად განთავისუფლებული ქვეყნისთვის იბერია ეწოდებინათ. ასევე იყო მოთხოვნა, იგი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გადაექციათ, რეალურად მოხდა ის, რაც მოხდა.



## რატომ ასე?

ქვეყნის უახლესი ისტორია მრავალ მკვლევარს იზიდავს. მნიშვნელოვანი ნაშრომებიცაა შექმნილი. არის აზრთა თანხვედრაც და სხვაობაც რიგ საკითხებთან დაკავშირებით. შეფასებას სუბიექტები აკეთებენ და მიმდინარე პროცესებზე შეხედულებაც, ხშირად, სუბიექტურია. ასეთი ვითარება ბუნებრივია. აქ გამოოქმული აზრიც ერთი მრავალთაგანი იქნება.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გამოცხადებული დამოუკიდებლობაა პირობითი. უფრო სურვილია და არა რეალობა. ჯერ ერთი, სრულიად დამოუკიდებელი, თავისუფალი მომავლის არჩევაში არავინაა. თვით დიდი სახელმწიფო ორგანიზაციიც კი ბევრად სხვებზე დამოკიდებულები არიან. სხვანაირად არსებობა შეუძლებელია. მეორე და უმთავრესი. გლობალიზაციის პროცესი გარიყელად ვერ დატოვებს ჩვენი შესაძლებლობების მქონე ქვეყანას. ის ან ნეიტრალური უნდა იყოს ან რომელიმე დიდი ძალის მქონე გაერთიანების ორბიტაში მყოფი.

გადაწყვეტილების მიღებაც არაა ნებაყოფლობითი. დიდი ძალის მქონენი მუდმივად ეცდებიან მცირეთა მოქცევას გავლენის სფეროში, საკუთარი ძლიერების დანამატად გადაქცევას.

დღევანდელი მსოფლიო, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ორპოლუსიანია. ერთი მხრივ აგრესიული რუსეთი და მისი მორჩილი მოკავშირენი, მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები მოკავშირებით. სხვა დიდი ქვეყნები, საბოლოო ანგარიშით, იძულებულნი არიან, რომელიმე მათგანის ორიენტაცია იქონიონ.

ჩვენი დონის ქვეყანა მხოლოდ მუდმივი ნეიტრალობის გზით შეძლებს თავის გადარჩენას.



არანაკლები საფრთხის შემცველია გლობალიზაციის პროცესი. მსხვილი საერთაშორისო ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანებები ინაწილებენ მსოფლიო ბაზარს და ჩვენი დონის ქვეყნებს დამოუკიდებელი მოქმედების შესაძლებლობებს უზღუდავენ, უბრალო, დანამატად გადაქცევას უქადაინ. ასეთ ვითარებაში ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს პროტექციონისტური პოლიტიკის გატარება. თუ სახელმწიფო აქტიურად არ ჩაერია სამრეწველო-ფინანსურ პროცესებში, არ დაიცვა სუსტი, მაგრამ ქვეენისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი სამეურნეო დარგები, თუ თავისუფალი ბაზრის იმედად ამყოფა საზოგადოება, შედეგი სავალალო იქნება. პატარა ქვეყანა მსოფლიო ბაზრის კონკურენციას ვერ გაუძლებს. უმუშევრობა და უპერსპექტივობა ხალხს გადააგვარებს.

სიბრივე და ღალატია ასეთ დროს ლიბერალურ მიღეომაზე მსჯელობა, რაღაცა თავისუფალი სავაჭრო სივრცეების შექმნა, უცხო კადრების მოზიდვა და საკუთარის უგულებელყოფა. როცა მოსახლეობის ნახევარი უცხო ქვეენებშია გადახვეწილი სამუშაოს შოვნის მიზნით, მეორე ნახევარი უმუშევარი და მათხოვრის მდგომარეობაში, ერთგულთა გამდიდრება საერთო პროგრესის მაჩვენებელი ვერ იქნება.

არსებული საინფორმაციო საშუალებები გვერდს უვლიან კაპიტალის თავდაპირებელი დაგროვების პერიოდისათვის დამახასიათებელ უარყოფით მოვლენებს. არადა, საკუთარი შრომით იშვიათად ვინმე გამდიდრდება. გამდიდრება, როგორც წესი, სხვათა ხარჯზე ხდება. ფულად-სასაქონლო ურთიერთობები სხვა შედეგს არ იცნობს.

არც ისაა დაფარული, რომ ფულის ბატონობის პირობებში უფულობა აბეზავებს ადამიანს, ფული კი რყვნის, ამასთან, დიდი ფული — დიდად.

ფულად-სასაქონლო ურთიერთობები ჩვენთან სტიქიურად მოქმედებს. რეგულირების სახელმწიფო ბერკეტები უგულებელყოფილია. სახელმწიფო თუ ერევა ამ ურთიერთობებში, არა საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ ვიწრო კლანური მიზნების მიხედვით.

ხელისუფლება და მისი მეხოტე მეკალმექები ამას ლიბერალური და დემოკრატიული განვითარების პოლიტიკით ხსნიან. თავგამოდებით



მიუთითებენ ქვეყნის „ევროპეიზაციის“ სიკეთეზე.

როგორაა გაებული „ევროპეიზაციის“ პოლიტიკა? რა არის ეს ყბადაღებული პოლიტიკა და პოლიტიკოსობა? რატომ განიხილება იგი ცალკე?

ადამიანი ცალმხრივი აზროვნებით და მოქმედებით როდი ხასიათდება. ჯერ ერთი, თავად აზროვნება და მოქმედებაა ერთი მთლიანის ორი მხარე. ადამიანს თავიდანვე ეძლევა მათი ერთობა. როგორც მოაზროვნე, იგი თავიდანვე ფლობს პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების უნარს. სხვა ამბავია, როდის, რა დოზით მიმართავს, უფრო ზუსტად გამოავლენს. მთელი მისი ცხოვრება პოლიტიკაა. ამიტომ პირობითად შეიძლება თქმა: ეს პოლიტიკოსია, ის — ეკონომისტი, ერთი მეორის გარეშე არ არსებობს.

სინამდვილეში პოლიტიკაა საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფერო, ყველა დონე და ყველა მონაწილეც პოლიტიკოსია.

სამწუხაროდ, პოლიტიკა და პოლიტიკოსობა ხშირად არაა სწორად გაგებული. იგი ემით, როგორც სახელმწიფოს მმართველობაში მონაწილეობა. ასეთ შემთხვევაში კი დასაზუსტებელია, ვინ განსაზღვრავს პოლიტიკას და ვინ აღასრულებს, ვინ მართავს და ვის მართავნ, ვინ იბრძვის ხელისუფლებისათვის, ვინ ქმნის პარტიას და ა. შ.

თავად პოლიტიკოსები პირობითად სამ ძირითად კატეგორიად იყოფიან: თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები, აგიტატორები.

მცირე შეხსენება მოითხოვა იმის გაგების აუცილებლობამ, რა მდგომარეობაა ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით, რას უნდა მოველოდეთ თანამედროვე პოლიტიკოსებისგან.

საზოგადოებას ისინი ორ, არათანაბარ ნაწილად ყოფენ: „ევროპეიზაციის“ (სხვანაირად „ნატოს“) მომხრენი და ე. წ. დსთ-ს (სხვანაირად — რუსეთის) ორიენტაციის მომხრენი. პირველი მეორებს ევროპული ქვეყნების უპირატესობაზე მიუთითებენ და ქვეყნის დალატში სდებენ ბრალს. ცხადია, მეორეთაც აქვთ თავისი არგუმენტები.

საზოგადოების ელიტურ ნაწილს აქვს რა შესაძლებლობა, ხელი მიუწვდება მსოფლიო ცივილიზაციის სიკეთეებზე, ჩვენი აზროვნების „ევროპეიზაციაზე“ ამაზვილებს ყურადღებას. მხოლოდ ეგაა: დავიწყებულია საკუთარი ისტორიული წარსული.



როცა ევროპული საზოგადოებრივი ცხოვრების მიბაძვის აუცილებლობაზე მიუთითებენ, ამ თავდავიწყებულ მიმბაძველებს საკუთარი ქვეყნის მიღწევები უნდა აზსოვდეთ. რითაა მისაბაძი ევროპული მიღწევები? ამ კუთხით, უკველად, უნდა განასხვაონ სხვადასხვა ქვეყნების განვითარების დონე, დადებითი და უარყოფითი თითოეული მათგანისა. როცა სოციალ-ეკონომიკურ მახასიათებლებს შეეხებიან, უნდა ისიც გაითვალისწინონ, რა გზით და რა მსხვერპლის ფასად მიაღწიეს ყოველივეს. როცა სამხედრო-პოლიტიკური დაცულობის თვალსაზრისით განიხილავენ, აუცილებლად უფრო დეტალურად უნდა გაიანგარიშონ მოწინააღმდეგე მხარის შესაძლებლობანი, დღევანდელი მასობრივი მოსპობის საშუალებების არსებობისას.

„ევროპეიზაციის“ მოთაყვანებმა საკუთარი ქვეყნის წარსული არ უნდა დაივიწყონ. პოლიტიკურ-სამართლებრივი თვალსაზრისით ჩვენმა ქვეყანამ ბევრად ადრე გადადგა პოლიტიკური ნაბიჯი. 1184 წ. ე.წ. „კარვის“ იდეა მცდარად როდია გაგებული, როგორც პარლამენტის შექმნის მოთხოვნა. სად იყო მაშინ ევროპის ქვეყნებში პარლამენტი (მხედველობიდან არაა გამორჩენილი ძველი საბერძნეთის დემოკრატიული მიღწევები და არც სენატის არსებობა ძველ რომში). თავად კომპრომისული შეთანხმება, მეფის მიერ ქვეყნის მართვა დარბაზის თანადგომით (თანხმობით). რით არ იყო ნაბიჯი კონსტიტუციური მონარქიისაკენ? თუნდაც აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა (ჰერთა) და სხვათა სამეფო შეიძლება თუ არა განხილულიყო, როგორც ფედერალური გაერთიანება?

ამას გარდა, 1832 წლის შეთქმულთა მისწრაფება კონსტიტუციური მონარქიის დაფუძნებისა, განა, არ უსწრებდა ბევრ ევროპულ ქვეყანას თავისი პროგრესული ჩანაფიქრით?

კიდევ ერთი პიონერული ნაბიჯია მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნება. პირველი სოციალ-დემოკრატიული კონსტიტუციის მიღება, ჩამორჩენილი ქვეყნის „ევროპეიზაციის“ ცდა იყო თუ სხვა ხალხებისათვის მისაბაძი მაგალითი?

რატომ ჩამოდიოდნენ მსოფლიოს წამყვანი სოციალ-დემოკრატები და რატომ ცდილობდნენ მის დაცვას ევროპის უანდარმადწოდებული



რუსეთისაგან? დაბოლოს, 1991 წ. გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა 1921 წ. კონსტიტუციის საფუძველზე. პრაქტიკულად, დამოუკიდებლობის რა დონეს მივაღწიეთ სხვა თემაა, მაგრამ, როცა საზოგადოების „ევროპეიზაციაზე“ აპელირებენ, უპრიანია ევროპის ქვეყნების და ამ კონსტიტუციის პარალელური ანალიზი. საინტერესოა, როგორ იქნება „ევროპეიზაციის“ მომხრეთა დასკვნა?

თქმა იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა ყოველთვის და ყველაფერში მოწინავე იყო, რომ ევროპას და მსოფლიოს არაფერი უკეთესი, მისაბადი არ შეუქმნია, არ შეიძლება. კაცობრიობის მიერ მიღწეული პროგრესული ნაბიჯები ქვეყანამ უნდა გაიზიაროს, მაგრამ არა ბრიფული მიბაძით. ჩვენ ჩვენი უნდა ვიცოდეთ, ვიცავდეთ და ვავითარებდეთ.

თოქვა, რომ ლიდერები, ძირითადად, სამ კატეგორიად იყოფიან: თეორეტიკოსები, პრაქტიკოსები და აგიტატორები.

ჩვენთან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობას აგიტატორი ლიდერები ედგნენ სათავეში. პროცესებიც აგიტაციური მეთოდებით წარიმართა.

პოლიტიკა, საერთოდ, დიდ თეორიულ ცოდნას და ანალიზის უნარს მოითხოვს. საბჭოთა კავშირში მხოლოდ აგიტატორ-პრაქტიკოსები სჭირდებოდათ და ამ ტიპის მოღვაწეებს პქონდათ ხსნილი გზა. ისინი აღწევდნენ წარმატებას, მათგან შეირჩეოდნენ ლიდერები. მოსკოვის დირექტივებისგან განსხვავებული აზრი ჩახშული იყო. განსხვავებული აზრის საჯარო გამოთქმაც არ შეიძლებოდა.

აგიტატორი ლიდერების სიჭარბე იყო საზოგადოებაში და, მათ შორის, ეროვნულ მოძრაობაში. შესაბამისად, მათ შექმნეს 1990 წ. ხელისუფლება და აგიტაციური მეთოდებით დაიწყეს ქვეყნის მართვა (სხვანაირად როგორ შეიძლება შეფასდეს ქ. სამტრედიაში რკინიგზის ბლოკადით საბჭოთა კავშირის სარკინიგზო სისტემის მოშლის მცდელობა). როგორ შეფასდება სოფლის მეურნეობების სისტემის დაშლა, ტექნიკის ჯართად გაყიდვა და გლეხობისათვის ჰექტონით მიწის ნაკვეთების გადაცემა, ბარით და ორხით დასამუშავებლად. როგორ შეფასდება სამრეწველო საწარმოების დაზურვა და იქ დასაქმებულთა ქუჩაში დაყრა. როგორ შეფასდება შეცნიერმუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, კვალიფიციურ სპეციალისტთა იძულება, საზღვარგარეთ



ეძიათ ცხოვრების პირობები, აღესრულებინათ კ. მარქსის ნათქვამი: საწყალ ადამიანს სამშობლო არა აქვს და ა. შ.)

ნაკლები ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირის დაშლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა განაპირობა იმპერიის ცენტრში განვითარებულმა მოვლენებმა და არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმძლავრემ. ეროვნული მოძრაობა სუსტი, დაუღვინებელი, გამოცდილებას და ოეორიულ გათვლებს მოკლებული იყო. ამას ემატებოდა სპეცორგანოების მიერ ჩანერგილი და მიტმასნილი მყვირალა მონაწილეთა დიდი ოდენობა. საბჭოთა კავშირის დაშლა მოხდა ზევიდან. ამ ფაქტმა თავისი დაღი დაასვა ქვეყნის დამოუკიდებლობის გზას და მიმდინარე პროცესებს.

თეორიული ცოდნის გარეშე ნებას მიშებული ეროვნული მოძრაობის ლიდერებისტიქიურად მოქმედებდნენ და უფრო საკუთარ პოტულარობაზე ზრუნავდნენ, ვიღრე ქვეყნის მომავალზე. თეორიული ცოდნით აღჭურვილებიც მიუღებელნი იყვნენ მათვის!

ყველაზე ღიღი შეცდომა იყო საბჭოთა წყობილების მიჩნევა სოციალისტურად და მისი გაუაზრებელი ნერევა. სოციალიზმი მარქსიზმის მიხედვით გამორიცხავს ფულს და ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს. ჯერ კიდევ 23 წლის ფ. ენგელსი განაქიქებდა ფულის ბატონობის შედეგებს. ეს სტრიქონები იწერება, რათა დაკვირვებულმა იცოდეს, რომ სოციალიზმი ფულად-სასაქონლო ურთიერთობებს გამორიცხავს.

საბჭოთა კავშირში იყო სახელმწიფო კაპიტალიზმი. ამასთან, ეკონომიკის განვითარების ინტერესები მოითხოვდა თავისუფალი

1. შეიძლება ვცდები ამ მცირე განმარტებას რომ ვწერ. თბილისის უნივერსიტეტში, სამოცაან წლებში, მოქმედებდა არალეგალური ორგანიზაცია. ჩემთვის და ჩემთან დაკავშირებული ჯგუფისთვის, ხელმძღვანელი კობა (გურამ) ჩაგელიშვილი იყო. 1967 წ. წამოვაყენე აზრი ზვიად გამსახურდიასთან დაკავშირების და საერთო მოქმედების სასარგებლოდ. დახლოებით ხახევარი წლის შემდეგ მითხრეს, ზვიადის ნდობა არ შეიძლებაო. რატომ? — არ ამიხსნენს. ზვიადის თხოვნით, ორჯერ მოხდა (1968 წ. ბოლოს და მომდევნო წლის დასაწყისში) ჩვენი შეხვედრა. საკმაოდ ცივად დავცილდით. სულ ვუკვირდებოდი. მოძრაობის აღმავლობის პერიოდში წამოიწყებდა აქციას და საკვანძო მომენტში მიატოვებდა. ასე იყო ახალგორში, ცხინვალში და ა. შ.



კონკურენციის (კაპიტალისტური განვითარების პირველი ფაზისათვის შესაფერის) ურთიერთობებს.<sup>1</sup>

მიზანი არაა კაპიტალიზმისა და სოციალიზმის თვისებათა კვლევა. ითქმება ის, რომ აგიტატორმა ლიდერებმა არსებული სოციალიზმად მიიჩნიეს და დაიწყეს მისი მსხვრევა. ამასთან არ იცოდნენ რა რით უნდა შეეცვალათ, შედეგად მიიღეს კაპიტალის თავდაპირველი დაგროვებისათვის დამახასიათებელი ღონისძიებანი და შედეგები.

ამჟამად ეს ეტაპი ძირითადად გავლილია. ვინც რა შეძლო, ათასგვარი მაქინაციებით მიითვისა, მოიპარა, დააგროვა. დადგა მოპოვებულის დაკანონების პერიოდი. მას თან ახლავს განაწილებულის გადანაწილების რეციდივები. ამას ლიბერალურ, თავისუფალი მეწარმეობის პროცესად წარმოიდგენენ. იშვიათია გამდიდრებული, რომელიც პოლიტიკურ ძალაუფლრებას არ მიესწრაფოდეს და იშვიათია პოლიტიკური ძალაუფლების მქონე, რომელიც ეკონომიკურ კეთილდღეობას არ იქმნიდეს. ჭეშმარიტად, პოლიტიკა და ეკონომიკა განუყრელი ცნებებია.

მეცნიერება გვეუბნება: არ შეიძლება საზოგადოებრივი ურთიერთობანი არ იყოს არსებული ეკონომიკურისა და კულტურულის შესატყვისი.

ეკონომიკურად ჩამორჩენილ და უკულტურო (მხედველობაში წარმოებისა და განაწილება-გაცვლის კულტურაა) იმპერიაში სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა მხოლოდ იძულებაზე იყო დაფუძნებული. იძულების მექანიზმის შესუსტებას მოჰყვა თავისუფალი კონკურენციისათვის დამახასიათებელი პროცესების გამოცოცხლება. ყოველივე აგიტაციური მეთოდებით შეფუთული საღდებოდა, როგორც სოციალიზმის ლიბერალიზაცია, გარდაქმნა უკეთესი ძოძავლისათვის.

სინამდვილეში, განვითარებული სოციალიზმის სახელით არსებული სახელმწიფო კაპიტალიზმის სისტემა (კაპიტალისტური წყობილების მექანიზმი საფეხურისათვის დამახასიათებელი), ეჯახებოდა და ზღუდავდა თავისუფალი კონკურენციული განვითარების

1. ამ საკითხთან დაკავშირებით იხილე ავტორის „Ф. Энгельс о характере огосударствления~ (в сборнике: Труды молодых учёных, тб., 1974) და „პოლიტოლოგის საფუძვლები“ თბ. 2009.



(კაპიტალისტური წყობილების მესამე საფეხურისათვის დამახასიათებელ) შესაძლებლობებს. შედეგი იყო საერთო კრიზისი, რომელ-საც იმპერიის ზევიდან დაშლა მოჰყვა. საბჭოთა კავშირი დაიშალა არა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მომწიფებისა და სიძლიერის წყალობით, არამედ საწარმოო ძალების წარმოებით ურთიერთობებთან შესაბამისობაში მოვანის აუცილებლობით.

მყირალა, აგიტატორმა ლიდერებმა ეს საკუთარ დამსახურებად მიიწერს და საგიტაციო შეთოდებით მოინდომეს ქვეყნის მართვა. ხანმოკლე ეიფერიული პერიოდის გასვლის შემდეგ გამოჩნდა მათი თეორიული აზროვნების უსუსურობა. შედეგად, დაინგრა არსებული, ვერ შეიქმნა ახალი. მათ სამოცაინ წლებში ესპანეთ-პორტუგალიაში მიმდინარე გარდაქმნების მნიშვნელობაც კი ვერ გაიგეს, რომ არაფერი ითქვას ევროპის წინმავალ ქვეყნებზე.

სამწუხაროა, რომ დღემდე აგიტატორი ლიდერები განაგრძობენ ქვეყნის მართვას. ათმაგად სამწუხაროა, რომ თავის უმეცრებას, უუნარობას წინსვლად და დემოკრატიად წარმოადგენენ. უკანასკნელად 2011 წ. ოლიგარქმა ლიდერმა ამაყად გამოაცხადა: ისეთ დემოკრატიას დავამყარებ, ევროპის ქვეყნებისთვის მისაბაძი გახდესო.

იციან, რა არის დემოკრატია?

ჩვენთან დემოკრატია (ხალხის თვითმმართველობა) გაგებულია, ამავე ხალხს დაპირისპირებული ელიტის (ხელისუფლების) მიერ ნაბოძებ სიტყვის თავისუფლებასთან.

ეს „დემოკრატია“ ეფუძნება საბაზრო ეკონომიკას, სადაც კერძო საკუთრება გაბატონებული. მათვის დემოკრატიის გამოვლინებაა, თუ სახელმწიფო კერძო წარმოებას არ ზღუდავს.

„დემოკრატია“ როცა ხელისუფლებაში მიმდინარეობს ძალაუფლების და მასთან დაკავშირებული მატერიალური პირობების გადანაწილება.

„დემოკრატია“ განსაზღვრული პერიოდულობით არჩევნების კომედიის გათამაშება (თითქოს ხალხისთვის სულ ერთი არ იყოს, რომელი აღზევებული „ვითომ არჩეული“ გაუწევს მას ექსპლუატაციას).

„დემოკრატია“, როცა არი შესაძლებლობა, შექმნან ასეულობით პარტია, სამოქალაქო საზოგადოება და ეცადონ ხელისუფლებაში (მატერიალური კეთილდღეობის პირობებში) მოხვედრას.



„დემოკრატიაა“, როცა შეგიძლია, წერო, ილაპარაკო რაც გსურს და ა. შ.

ჩვენთან სახელმწიფო მმართველობის ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპით აგება დემოკრატიად საღდება.

ჩვენთან დემოკრატიადა მიჩნეული ხელისუფლების მრავალ შტოდ დაყოფა.

უმაღლეს ორგანოდ მიჩნეულია პარლამენტი. პარლამენტის დეპუტატობა მრავალ პრივილეგიისთანაა დაკავშირებული: მაღალი ხელფასი, მომსახურება, იმუნიტეტი, გავლენის გამოყენება და ა. შ. სხვანაირად დეპუტატობისათვის არ იძრძოლებდნენ.

პარლამენტი ამტკიცებს მინისტრთა კაბინეტს. მინისტრების და სამინისტროს მოხელეთა არჩევა არ ხდება. აქ კადრებს ნიშნავენ ზევიდან ქვევით. ამასთან, ხელფასი, პრივილეგიები და სხვა. იზრდება თანამდებობრივი ზრდის კვალობაზე. ამიტომაა ბრძოლა მაღალი თანამდებობებისთვის. სამართალწარმოების სისტემა ითვლება ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ. საზოგადოებაში, სადაც ბრძოლაა კარგი თანამდებობისთვის (თანამდებობას ახლავს ეკონომიკურ-ფინანსური და პოლიტიკურ-სამართლებრივი პრივილეგიები), სამართალდაცვის სისტემა შეურყვნელი ვერ იქნება. როგორიცაა წყობილება, ისეთივეა სამართალი.

დემოკრატიულობის უმაღლეს გამოვლენადაა მიჩნეული საინფორმაციო საშუალებების უფლება, ილაპარაკონ და წერონ რაც მოესურვებათ. რა მნიშვნელობა აქვს ტყუილ-მართლის მონაცემების. მთავარია მოგება.

უმიზნო, სტიქიურად განვითარებად საზოგადოებაში ამიტომაა გამეფებული ანარქია, ამიტომაა, რომ ყოველი ზმის ამომღები თავს დემოკრატად მიიჩნევს.

სინამდვილეში?

დემოკრატია ხალხის თვითმმართველობაა (დემოს — ხალხი, კრატოს — მმართველობა). ქვეყნის მასტებაბით თვითმმართველობის განხორციელება სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა-ფუნქციონირებას მოითხოვს ჩამოყალიბებული ერთიანი სისტემით. სისტემაში დასაქმებული ყოველი პიროვნება ხალხის მსახურად ითვლება.



გამოდის ხალხი (მასა) ბატონი, მოხელეები დაქირავებულიმოსამ-სახურეები.

ცხოვრებაში ასეა: ბატონი ყოველთვის უკეთ ცხოვრობს, ვიდრე მოსამსახურე.

დემოკრატიული თვითმმართველობის ღროს მოხელეები (მსახ-ურები) უკეთეს პირობებში ვერ იქნებიან. მათ არ ექნებათ დიდი ხე-ლფასი, ეკონომიკური და პოლიტიკური პრივილეგიები. შესაბამისად, არ ექნებათ დაინტერესება, დაიკავონ მაღალი თანამდებობა, გაზღინენ დეპუტატები და ა. შ.

მართვის სისტემის დემოკრატიულ პრინციპებზე აგება უზრუნვე-ლყოფს თვითმმართველობის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ორგანიზმის დემოკრატიულობა ნიშნავს:

1. სახელმწიფოში არ არის თანამდებობა, რომელიც არჩევითო-ბას არ ექვემდებარება;
2. ყოველი არჩეული პიროვნება ანგარიშვალდებულია ამომ-რჩეველთა წინაშე. ამომრჩეველს უფლება აქვს, თანამდებობის პირს მოსთხოვოს პასუხი რიგითი სასამართლოს მეშვეობით;
3. სანამ ენდობიან ამორჩეულ პირს, ემორჩილებიან მის გად-აწყვეტილებებს;
4. უმაღლესი თანამდებობის პირები ღებულობენ საშუალო მუშის ხელფასს;
5. გაუქმებულია ყოველგვარი პრივილეგიები, რითაც თანამდე-ბობის პირი რიგითი მოქალაქეებისგან გამოირჩევიან.

რომელია გასაგებად? რომელია განსახორციელებლად. როგორც აბრაამ ლინკოლნი ბრძანებდა: დემოკრატია ხალხის მმართველობაა, ხალხის მიერ და რაც მთავარია — ხალხისთვის.

როცა მოხელეთა არმია იღებს დიდ გასამრჯელოს, იქმნის პრივ-ილეგიებს. ეს ბიუროკრატიული მმართველობაა და არა დემოკრატი-ული. ეს მოხელეთა ბატონობაა და არა ხალხის.

ჩვენთან აგიტატორმა ლიდერებმა სახელმწიფო ვერ შექმნეს. თეორიულ ცოდნას მოწყვეტილებმა არსებული დაანგრიეს, ახალი კი ვერ ააშენეს. ყოველი ახალი ხელმძღვანელი კონსტიტუციის, სა-კუთარი გემოვნების მიხედვით გადაკეთებით იყო დაკავებული. ვერ გაერჩიათ ფორმა და შინაარსი.



დიდი დრო გავიდა, ჩვენმა ლიდერებმა ვერ დაასრულეს დავა, თუ როგორი სახელმწიფო მმართველობა სურთ: მონარქიული, საპრეზიდენტო, საპარლამენტო. რაზეა დავა? რატომ იცვლება კონსტიტუცია ასე ხშირად?

დაობენ ფორმაზე, ცვლიან მმართველობის ფორმას და არა შინაარსს. არადა, კაცობრიობის წარსულმა იცის დემოკრატიული მმართველობის პერიოდები იმპერატორით სათავეში და იცის ტირანია დემოკრატიის საფარველ ქვეშ.

ჩვენთან ბიუროკრატიული ცენტრალიზმის პრინციპზე აგებულ სახელმწიფო მმართველობას კი არა ცვლიან, დემოკრატიულ პრინციპს კი არ ამკვიდრებენ, უბრალოდ ფორმას ცვლიან, ძველ შინაარსს სტოვებენ. ამასთან, ოლიგარქიული მმართველობის პირობებში კიდევ უფრო უარესით. ჭეშმარიტად დიდი ფული დიდად რყევნის ადამიანებს.

ჩვენთან აგიტატორ მმართველთა ძალისხმევით, შეცვალეს საპრეზიდენტო მმართველობა საპარლამენტო მმართველობით. მერედა, რა მიიღეს შედეგად? რა პროგრესული ელემენტები შემატეს მმართველობას? დაფიქრებაა საჭირო.

დემოკრატიისაგან შორს მდგომა ხელისუფლებამ ვერც სხვა კარდინალური პრობლემები გადაჭრა.

ჭეშმარიტად გენიალური დასკვნაა: თავისუფალი ვერ იქნება ერი, რომელიც სხვას ჩაგრავს. კარლ მარქსის ეს აზრი, გარკვეულ-წილად, ჩვენც გვეხება. თავისუფალია ქართველი ერი? საქართველოს მოსახლეობა? ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ერს ანადგურებს, მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს ბედნიერებას ვერ მოუტანს. ვერც მოუტანა.

რატომ?

იგივე კ. მარქსი ბრძანებდა: საწყალ კაცს სამშობლო არა აქვსო. ერთ დროს ენაკვიმატმა თ. წივწივაძემ საკმაოდ მწარედ „დასცინა“ მარქსს: ჩიტსაც კი თავის ბუდე აქვს და კაცს სამშობლო როგორ არა აქვსო. უმეცარი. თუ დაიანგარიშა მან, რამდენმა ქართველმა მიატოვა იძულებით ქვეყნა თავდახსნის ძიებისას? და რამდენმა არაქართველმა?



უგუნური ხელისუფლების ბატონკაცობისას ქართველი სო-ციალ-ეკონომიკურად იძარცვება. არაქართველს ეროვნული მოტივიც ემატება. სეპარატიზმი ცარიელ ადგილას არა ჩნდება. მას რეალური პირობები კვებავენ. ჩვენთან გარეშე ძალის ფაქტორმა გააძლიერა პროცესი და შედეგი შესაბამისი დადგა: არადა, სეპარატისტებად მიჩნეულები მოითხოვდნენ ფედერაციული კავშირის შექმნას. იქნებოდა ეს არსებული მწვავე ვითარებიდან გამოსავალი თუ არა? ქართველმა ხელისუფლებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ასეთი კავშირი არ შემდგარიყო. რა მოიგეს თავად და რა წააგო ქვეყანამ, ძნელი დასანახი არაა. შედეგი სავალალოა ყველასთვის.

ხელისუფლები დიდი ხანია, მიეყიდნენ მსოფლიო სავალუტო ფონდს და ნებისმიერ შესაძლო ინვესტორს. მათი კლანები კარგ ცხოვრებას „იმსახურებენ“ და ღებულობენ. მართალია, ქვეყნის საგარეო ვალმა მიღიარდებს (18 მლრ) გადაჭარბა, მაგრამ სანაცვლოდ პირადად მათ მიღიონები იშოვეს. დიდი ამბავი, თუ ეს ვალი ქვეყნის, ერის გადასახდელი იქნება. მთავარია, ვალი მათ აიღეს, შეირგეს, გადახდა კი სხვას მოუწევს.

მიღიარდიან ვალებში ჩავარდნილი ერი თავისუფალი ვერ იქნება. ამიტომაა ჩვენი დამოუკიდებლობა ეფექტურული. მას არც საგარეო და არც საშინაო პოლიტიკის, დამოუკიდებლად კი არა, სხვათა უკითხავად, წარმართვა არ შეუძლია. ამიტომ ებლაუჭებიან „ნატოს“ და მისი დახმარებით, უფრო ზუსტად მისი ერთგულებით ფიქრობენ თავის გადარჩენას.

საგარეო პოლიტიკასთან ერთად არც საშინაო ეროვნულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხია ჯეროვნად გაგებული.

გამბობთ საქართველო. საქართველო ქართების ტომების ქვეყანას ნიშნავს. ქვეყანაში, ქართების გარდა, ეგრისელებიც არიან, სვანებიც, დვალებიც, კახებიც და ჰერებიც. ეს ის ტომები, რომლებიც ძველთა-განვე შეადგენდნენ თუბალ-იბერიულ მოდგმას. ამათ ემატება უცხო ტომების დიდი რაოდენობის მოსახლეობა, რომელთაც ვერაფრით ქართებს ვერ დაუკავშირებ, მაგრამ აქვთ თუბალ-იბერიული ფესვები. აღარაფერი ითქმის არა თუბალურ-იბერიულ წრმომავლობის მოსახლეობაზე. ყველას ერთობა იბერიის სახელწოდების ქვეშ,



ფედერაციული პრინციპით უფრო ბუნებრივია, ვიდრე საქართველოს სახელწოდების ქვეშ და უნიტარული სახელმწიფოს ფორმით.

მოკლე მიმოხილვა საკითხის განსახილველად წამოჭრის ამოცანას ემსახურებოდა. ამიტომ ბევრი შემადგენელი მხოლოდ დასახელდა. მათზე მსჯელობა კი საზოგადოებრივი ინტერესის საგანია.

ათასწლეულების მანძილზე ჩვენ ქვეყანას სახელი ეცვლებოდა. იყო თუბალთა მხარე, ქართლოსისა და ეგროსის სამეფოები, სამამასახლისოები, იბერია, ეგრისი, კოლხეთი, აფხაზეთი და ა. შ. მიუხედავად ცვლილებებისა თუბალ-იბერობა ყოველთვის იყო ძირითადი მოსახლეობა. თუბალ-იბერები ყოველთვის იყვნენ კავკასიის ძირითადი მპყრობელები. ისტორიის ლოგიკა კარნახობს ამ საკითხში გადაწყვეტილებას, იბერია აღიარებას საჭიროებს.

## სარჩევი

რელაქტორისგან . . . . .	3
ცვალებადობის კანონი . . . . .	5
თუბალ-ობიდან იმერ-ობამდე . . . . .	8
იმერია . . . . .	12
იმერთა სამეფო . . . . .	19
რატომ ასე? . . . . .	47